კვირა, 1917 წ. მარიამობისთვის 27 (9) წლიწადი მესამე ფასი 15 კაპ.

# საქართველო

მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ ' Сакартвело.
ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

რედაქცია
ხელნაწერი მოკლედ უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. [illegible]
რედაქცია ღია არის დილის 9—3 საათამდე, [illegible]

კონტორა
[illegible]

№ 189 ეროვნულ-დემოკრატიული გაზეთი № 189

## გაზეთის შინაარსი

### საგულისხმო ცნობები

რიგის ყურეში გერმანელთა წყალქვეშები მოქმედობენ.

ბალტიის ფლოტმა მომხდარ ამბების გამო მოწოდება გამოსცა.

სოციალდემოკრატიულ პარტიის ყრილობამ მიიღო წერეთლის რეზოლუცია, რომელიც მთავრობის მხარის დაჭერას მოითხოვს.

იალტაში კონტრ-რევოლუციონერთა ჩხრეკაა.

ფრონტზე მომხდარ ცვლილების გამო პეტროგრადის საგანგებო მმართველობა არსდება.

კიევის უნივერსიტეტში უკრაინის შესწავლის ოთხი კათედრა არსდება.

### წერილები

მეთაური. საეკლესიო არჩევნებისთვის.
ტ. ტ—ძე. მესამე ინტერნაციონალი.
დ. კასრაძე. ჩვენი იმედები და რუსეთის სინამდვილე.

ინ—ბანი. პატარა ფელეტონი: ანდერძი.
მ. ჯანაშვილი. კახეთში.
კორესპონდენცია: გურიიდან, ახალციხიდან.

გულ დამწვარი დედა ეკატერინე ალექსას ასული, ძმები იაგორ და მიხეილ ივანეს ძე ქიმერიძეები, და დარია და სიძე ზაქარია იოსების ძე აბრამაშვილი შვილებით, ბიძა გაბრიელ ალექსას ძე ციცქიშვილი შვილებით, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 27 აგვისტოს გარდაცვალების 6 თვის თავზე პირველის დაუვიწყარ შვილის, მეორეთა ძმის, მესამის ცოლის ძმისა და უკანასკნელის—დისწულის: ტომსკის ტეხნოლოგიურ ინსტიტუტის მეხუთე კურსის სტუდენტის

ილია ივანეს ძე ქიმერიძის

სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნება დიდუბის ეკლესიაში 11 საათზე წირვა, მხოლოდ წირვის შემდეგ პანაშვიდი მიცვალებულის საფლავზედ იმავე ეკლესიის გალავანში. 2—764—4

სამუსიკო სასწავლებელი
ტფილისის ქართულ ფილარმონიულ
საზოგადოებისა.
(სოლოლაკის ქუჩა № 4).

მასწავლებელთა შემადგენლობა: როიალის კლასისა—აბელაშვილი ე. დ. ალეინიკოვა ვ. ვ., ანდრონიკაშვილი-ვასილიევისა მ. გ., კალაშნიკოვა ნ. ვ., ქიქოძე ე. გ., პოლტორაცკაია-მადათოვისა ე. ი., ფოგელი ე. ვ., ვიოლინისა—ვასილიევი მ. ც., ლიხტენგაუზენი პ. ა., სიმღერის (solo)—კირილოვა გ. ი., კოლოტუევისა მ. ა., ვიოლონჩელისა—კოპელნიცკი ე. ნ., კონტრბასისა—პინსკი მ. დ. და თეორიულ კლასებისა—ზ. პ. ფალიაშვილი.
სწავლის გადასახადი—როიალის, ვიოლინოს, ვიოლონჩელის კლასებში—110 მანეთი, სიმღერის—150 მ., კონტარბასის—75 მ., თეორიულ კლასებში—60 მ. მოწაფეთა მიღება სწარმოებს 25 აგვისტოდან ყოველ დღე, კვირა-უქმის გარდა, დილის 10—2-მდე და საღამ. 5—7-დე.
სწავლის დასაწყისი 4 სექტემბერს. 4—745—1

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის
პირველი უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს რომ ხამშაბათს, 29 მარიამობისთვეს, ქართული გიმნაზიის დარბაზში გაიმართება კრება. კრებაზე მოხსენებას წაიკითხავს შ. ქარუმიძე თანამედროვე მომენტის შესახებ. ამასთანავე ბ. გიორგი ჟურული აუხსნის საზოგადოებას ქალაქის თვითმართველობის განყოფილებათა უბნებში დაარსების საჭიროებას და მათს მნიშვნელობას. შემდეგ მოხდება საუბნო კომიტეტის ხელ ახალი არჩევა.

ახალი ქართული სრულ-უფლებიანი
ქალ-ვაჟთა გიმნაზია
მასწავლებელთა კოლეგიისა (ყოფილი სკოლა ჩერქეზიშვილისა).

მოწაფეებს მიიღებენ პირველ სამ განყოფილებაში, სადაც სწავლა იწარმოებს ქართულ ენაზე და 1, 2, 3, 4 და 5 კლ. განმეორებითი გამოცდები დაიწყება ენკენისთვის 11-ს, სწავლა კი ენკენისთვის 20-ს. თხოვნები მიიღება გიმნაზიის კანცელარიაში ყოველ დღე დილის 10 ს. ნაშ. 1 საათამდე. მისამართი: ალექსეევის ქ. № 17 ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 2—765—1

## დროებით მთავრობისაგან.

## თავისუფლების სესხზე

ხელის მოწერამ უკვე სამ მილიარდ მანეთზე მეტი მოაგროვანა. იგი აღემატება ძველ სამხედრო სესხებს (პირველ სესხმა 1916 წ. მოაგროვა $1^1/_2$ მილიარდი მან. და მე-2-ემ 1916 წ. $1_{,6}$ მილიარდი). დროებით მთავრობის მხურვალე მოწოდებას გულგრილად არ შეჰხვდებიან. მცხოვრებთა ფართე წრეები პირნათლად ასრულებენ თავიანთ მოქალაქობრივ მოვალეობას და შემოსავლის მტკიცე წყაროში ინახავენ. საჭიროა კიდევ ბევრი მილიარდი, რომ ერის ერთნების ყოფამ მომავალ დამფუძნებელ კრებაზე თავისუფალ რუსეთის ძმობისა და თანასწორობის ნიადაგზე აშენება შეიძლოს. დროებით მთავრობას იმედი აქვს, რომ თავისუფალი ერი გაორმაგებულ ძალით მიაწვდის სახელმწიფოს თავის წვლილს, რის გამოც დროებითმა მთავრობამ გადასწყვიტა გ[ა]ნაგრძოს თავისუფლების სესხზე ხელის მოწერა

### მომავალ დამფუძნებელ კრებამდე.

გაზეთ „საქართველოს“
კონტორისაგან

რადგანაც დღითი-დღე სიძვირე მეტის-მეტად მწვავე ხასიათსა, ღებულობს, იძულებული ვართ, გაზეთის ფასსაც დროებით მოუმატოთ, დღეიდან გაზეთის
თითო ნომერი ეღირება 15 კაპ.
ხელის მომწერთა ფასები შეიცვლება პირველ ენკენისთვიდან.

კვირას, 27 აგვისტოს, დილის 10 ს. (ახალ დროზე)
სახალხო სახლში
დანიშნულია მომხმარებელთა საზოგადოება
„აღორძინებას“
წევრთა წლიური საზოგადო კრება

დღის წეს რიგი: 1) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის მოხსენება, 2) წლიური ანგარიშის და ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა, 3) გამგეობის წევრთა არჩევა და 4) მიმდინარე კითხვები. დაბეჭდილი ანგარიშები წევრებს შეუძლიანთ მიიღონ უმთავრეს მაღაზიაში და განყოფილებებში. რადგანაც ეს კრება დანიშნულია მეორეთ, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს, კანონიერათ ჩაითვლება.
2—772—1 გამგეობა

თბილისის სასტუმროების, მორთულ ოთახების, რესტორანების და სხვათა პატრონების თვით მომხმარებელის საზოგადოების
გამგეობა

აწყებს წევრებს ამა საზოგადოებისას, რომ ოცდა ათს ამა აგვისტოს თერთმეტ საათზედ დილით არის დანიშნული საგანგებო კრება—ახალ საკრებულოში (ყოფილი ხარფუხის კლუბი), მიხეილის პროსპექტი სახლი ბარტისა.
განსახილველია:
1, კითხვა კოოპერატიულ მაღაზიის შესახებ
და 2, სხვა და სხვა მიმდინარე საქმეები.
თავმჯდომარე გამგეობისა ს. ნ. სხირტლაძე.
მდივანი გამგეობისა. ი. კ. რაზმაძე.
1—760—1

კვირას, 27 მარიამობისთვეს, თბილისის
ყველა ქართულ ეკლესიებში დანიშნულია
მრევლთა ყრილობა
რომელიც აირჩევს ამომრჩევლებს საქართველოს საეკლესიო კრებაზე გასაგზავნ დელეგატების ასარჩევად. წირვა ყველგან დაიწყება დილის 9 საათზე. წარმომადგენელთა არჩევნები მოხდება წირვის შემდეგ. საჭიროა ყველა მრევლთაგანი აუცილებლად დაესწროს.
არჩევნებში მონაწილეობს ყველა მრევლთაგანი განურჩევლად სქესისა არა ნაკლებ 20 წლისა
არჩევნები მოხდება იმ წესით, რომელიც უკვე დაბეჭდილი იყო გაზეთებში, ვინც არც ერთის საბრევლოზე არ არის მიწერილი, შეუძლიანთ მ. ხლობელ მრევლში მიიღონ თავისი ვალი, ხოლო წინასწარ გამოუცხადონ საბჭოს ან მღვდელს. 1—744—1

ახალი საკრებულო
(ყოფილი ხარფუხის კლუბი)
საზაფხულო სადგომი მიხეილის ქუჩა № 131.
კვირას. 27 აგვისტოს.
I
მოზრდილ ახალგაზდებისათვის საღამო
სხვა და სხვა გასართობებით.
II
კონცერტი-კაბარე
სიმღერები, ცეკვა და მუსიკა.
1—746—1 დასაწყისი საღამოს 7 საათზედ.

ექიმი
ე. დ. შალამბერიძე
იღებს სნებით და საშვილოსნოს [illegible]
მყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: ჰეკტოროვიჩის ქუჩა № 7

ექიმი
გ. ვ. გაბლიშვილი
[illegible] და საშარდე[?] სნეულებით
ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: [illegible] ქუჩა № 41, [illegible] ტელ. 9—58.

ექიმი
გ. დ. წინამძღვრიშვილი
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველ დღე გარდა მეუქმებისა.
მიხეილის პროსპ. № 86, [illegible]

ექიმი
ა. დ. კეკელია
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულს და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116.
(თ—703—12)

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა დილის 1 საათიდან 2 საათამდე და საღამოს 6-დან 7 საათამდე.
გუნიბის ქუჩა № 41
თ—719—7

ექიმი
გ. ი. მარჩაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს ყოველ დღე, კვირა-უქმის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, [illegible] (თ—202—)

ექიმი
გ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რიხტერის ქუჩა, № 19.

ექიმი ქალი
ე. ივ. გაღარჯაშვილი-მათეშვილისა
იღებს ავადმყოფებს:
დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ.
ნერქეზიშვილის და ბებუთოვის ქუჩის კუთხე № 20.

ექიმის თანაშემწე
ვანო საათაშვილი
ღებულობს ავადმყოფებს საღ. 6—8 საათ.—ვენერიულ სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება. სისხლის ნაკლებთ, ნერვებით აშლილთ, სიფილისიანთ და სხ. ელექტრიზაციით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა და სხ.
მისამართი: ფასანაურის შესახ. № 3.
(1-ლი სამილიციო ნაწილი).
4—748—თ.

[illegible]
მიხეილ ანტონის ძე
ბალანდარიშვილი
[illegible]
მეხუთე.
ბავშვთა, შინაგან და [illegible] სნეულებებიან [illegible] მიიღებს
მანგლისში
საკადეტო კორპუსის ბინაში

ექიმი
გ. მ. მუხაძე
იღებს სნეულებათა ავადმყოფთ საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა
მისამართი: [illegible] ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი [illegible]. ტელეფონი № 5—77.

## თბილისი,
მარიამობისთვის 27.

### საეკლესიო არჩევნებისთვის

დღევანდელ დღეს ყველა ეკლესიების გალავნებში მრევლმა უნდა აირჩიოს თავის რწმუნებულნი, რომელნიც მარიამობისთვის 30-ს საოლქო საბჭოში დელეგატებს აირჩევენ ენკენისთვის 8-ში საეკლესიო კრებაზე მონაწილეობის მისაღებად. ეს ამბავი ფრიადია ჩვენი ეროვნული ცხოვრებისათვის, მიტომ უფრო საჭიროა, რომ არჩევნებში ფართო მასსამ მიიღოს მონაწილეობა. წავიდა ის დრო, როდესაც ეკლესიას არავითარ მნიშვნელობას არ აწერდნენ. მარტო ის ფაქტი, რომ ახალი მთავრობაც ძველზე არა ნაკლების ინტერესით გვებლაუჭება და ბენეშევიჩებითა და პლატონებით ძალარ გვასვენებს, საკმარისად მეტრმეტყველურად ჰლაღადებს, თუ რა დიადი მნიშვნელობა ჰქონია ჩვენს ეკლესიას. პირადი ჩვენი დღეური ცხოვრებაც რომ უიმისოდ ვერ გასძლებს, ესეც ცხადზე უცხადესია; მტკიცება თავის დამცირება იქნებოდა...

რაკი ეკლესია ჩვენთვის საჭიროა, მაშასადამე, მისდამი გულცივობა არ ეპატიება მრევლს. უნდა გვახსოვდეს, ეკლესიამ პირველი ნაბიჯი გადაგვადგმევინა პოლიტიკურს ასპარეზზე, რასაც მეორე უნდა მოჰყვეს. რუსეთმა საუკუნის განმავლობაში ქონებრივ გაძარცვის გარდა სულიერადაც გაიღატაკა ჩვენი ეკლესია და სლავიანურ სულის გასამეფებლად დაამახინჯა, გარყვნა. პირვანდელი სიწმინდე დაუკარგა. ამიტომაც საჭიროა, ფხიზლად მოვეპყრათ ამ საკითხს. ეკლესია არაა რომელიმე წოდების, კლასისა თუ კასტის დაწესებულება, იგი ყველასათვის თანაბარი კუთვნილებაა. მით უფრო გვმართებს კეთილ გონიერებას და გულს დავუხმოთ, ვიდრე იაფ-ფასიან პროპაგანდას და სიტყვიერს ძახილს, რომ ეკლესია არ გვსურს... საჭირო არ არის! რომ საჭიროა, ამას ჩვენი ფართო გამოსვლით დავამტკიცებთ, გონიერ დელეგატთა ასარჩევ დ. ჩვენს ეკლესიას არასოდის არა სჭირებია ჰკუამორჭმული მწყემსმთავარი, როგორც დღეს. თუ ფართო მასსა არ მიიღებს მონაწილეობას, თუ ყველანი გულგრილად ვიქნებით, მაშინ არც მწყემსმთავრის ამორჩევის უნარი გვექნება, ყოველისფერი ალალბედაობაზე იქნება დამყარებული, რაიც უფრო აპოლიტიკურ ერის კურსს შეადგენს, ვიდრე ისეთ ფხიზელ ერის პოლიტიკას, რომელსაც უნარიც და ძალაც შესწევს ყოველს საკითხში ნათელი და სწორი შეხედულობა იქონიოს.

### მესამე ინტერნაციონალი

#### რევოლუციის ექვსი თვე

რუსეთი ყოველთვის საბედისწეროთ იჩემებდა უკვდავთ რიცხვს „სამს“. ორჯერ დანგრეული რომის მემკვიდრეთ გამოაცხადეს ადრინდელმა სლოვიანოფილებმა რუსეთის იმპერია—და მოსკოვში აპირებდენ აშენებას მესამე რომისას, რომლის შემდეგ არ უნდა ყოფილიყო სხვა რომი. ეს იდეა მეტად მიმზიდველი იყო, შეეძლო დიდხანს ენთო ენტუზიაზმის ცეცხლი და ქცეულიყო რელიგიათ. მაშინ რუსებს ელანდებოდათ „დამპალი ევროპის“ ხსნა, ევროპის კულტურას ისინი უპირდაპირებდენ თავიანთ, როგორც თვით ონ ამბობდენ „გლეხურ რუსეთს“, რომელსაც ევროპაში მიჰქონდა თავის წვერიანი კალთებით შინ აზრდილი

ფორმულა: თვითმპყრობელობისა, მართლმადიდებლობის და ხალხოსნობისა" მხოლოდ რუსულ ბარბაროსულ შეგნებაში არ სპობდა ერთმანეთს ძირითად შეურიგებელი: თვითმპყრობელობა და ხალხოსნობა, მართლმადიდებლობა სინტეზად ჰქონდათ მიჩნეული.

მიდიოდა დრო, რუსეთის სამეფო ტახტზე იცვლებოდენ უნიჭო იმპერატორები, ყველა ამათგანი თავის მფარველობას არ აკლებდა ამ ოფიციალ ფორმულას, ბედი სლოვიანოფილების უდღეურ მესიანიზმს—მწარე დაცინვას უმზადებდა.

თვითმპყრობელობა—ნ. რომანოვის სახით გადაშენდა და მართლმადიდებლობა კიდევ გრიგოლ რასპუტინში.

რუსეთის გაცხელებული აზროვნება გამოეთხოვა კონსტანტინოპოლზე ფიქრს და ოცნებას, მტრის მრისხანე ნიაღვარი უკანასკნელად უპირებს რუსეთის დედაქალაქებს მოლეკვას.

მაგრამ რუსულ აზროვნებას ძალიან უყვარს მეტაფიზიკური ყირამალები.

თუ უწინ რუსეთი თვითმპყრობელობით ფიქრობდა ევროპის დახსნას, ეხლა მანვე მოინდომა ევროპაში სოციალური რევოლუციის პირველობა.

რუსეთის დემოკრატიას თან დაჰყვა მემკვიდრეობით რუსული მესთანიზმი.

ეს რევოლუციის პირველ დღეებში იყო.

პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო თავზე იდებს „რუსეთის რევოლუციის" „ევროპაში გადასროლას" და მესამე ინტერნაციონალის აღდგენას. საამისოდ დაამზადეს კიდეც მოწოდება ყველა ქვეყნის დემოკრატიისათვის.

უეჭველია პირველი ინტერნაციონალი მესთანიზმის ნაყოფი იყო.

კ. მარქსში ლაპარაკობდა უფრო მომქმედი გერმანული სული, შემდეგ გერმანელი სოც.-დემოკრატიაც მის ნაკვალევზე წავიდა, მაგრამ ირონიით, ისე მოხდა, რომ ინტერნაციონალის აღმდგენელის როლში ეხლა გამოვიდა, ის რუსეთი, რომლის დამორჩილებას გერმანულ კულტურისთვის—მარქსი გერმანეთის მისიათ სთვლიდა.

არ იყო გასაკვირი, რომ პირველმა გერმანელმა ს.-დემოკრატებმა იუკადრისეს პეტროგრადის საბჭოს გერმანიის შინაურ საქმეში ჩარევა და მხოლოდ გულობრყვილოთ სჯეროდათ, რომ ამ მიმართვას რაიმე შედეგი მოჰყვებოდა.

სრულდება ეპილოგია: ეს ამბები სტოკჰოლმის სოციალისტური კონფერენცია, რომელიც უნდა მოწვ ულიყო ინტერნაციონალის აღსადგენად რუსების ინციატივით, აწი აღარ შესდგება.

ინგლისელებს არ უნდოდათ ეს კონფერენცია, მაგრამ რუსეთის პრესტიჟისთვის დათანხმდენ, თან არც იმას მალავდენ, რომ მათი მიზანი იქნებოდა რუსი გულუბრყვილო სოციალისტები გერმანელ სოციალისტების მოტყუებისგან დაეფარათ.

მახსოვს როგორი მომპობი ირონიით უსმენდენ მოსკოვში ვანდერველდე და ალბერტ ტომა რუსების სოციალისტებს, რომელნიც მათ ჭკუას არიგებდენ. დღეს უკვე მოსწყინდათ მოკავშირე სოციალისტებს რუსული ზღაპრები და თავი დაანებეს მათ ლოლიავს.

ყველაფერი ეს ხდება რუსეთის რევოლუციის მეექვსეთვის თავზე. ამ დროში უკვე ბევრი გვმოირკვა. გამოირკვა, რომ რუსეთი არა თუ სხვაგან „გადაისროლის" თავის რევოლუციას, თავის საკუთარსაც დიდ საფრთხეში აგდებს. კონტრ-რევოლიუციის ლანდები დღეს აშკარად აჩრდილებენ რუსეთსა. ამ დროში რუსეთის დემოკრატიამ საკმაოდ გამოაფინა თავის უკულტურობა, ამ დროში კაცი არ გამოჩენილა რომ იმედი მოეცა სახელმწიფო შნების. რუსეთის დემოკრატია იწეწება შინაური ფრაქციონული ბრძოლით.

მოსკოვის თათბირზე გენ. ალექსეევმა სთქვა—რუსის ჯარი ეს სრულიად რუსეთის მიტინგია—გერმანელების მონაწილეობითო. მაშინ ეს მეტაფორა იყო —დღეს კი გერმანელი გრენადერები შლიან ამ მიტინგს.

მტრის წინ გაღებულია ყველა ჭიშკრები;

დღეს სამშობლოც განსაცდელშია და რევოლუციაც.

მაგრამ არ სჩანს გული, რომელიც დაიწვება სამსხვერპლოთ და დაწვაში მონახავს ხსნას.

ყოველ შემთხვევაში, რუსეთი კი ერთ ქიმერას კიდევ გამოეთხოვა, იქნება კვლავ ადგეს ინტერნაციონალი, მაგრამ ვერ აღსდგება რუსეთის ხელით.

ტ ტ—ძე.

## ჩვენი იმედები და რუსეთის სინამდვილე

„რუსეთის მოქალაქენო, ყველა იმ სიტყვებში, რაც კი ამ ტრიბუნიდან წარმოითქვა, საღმრთო აღშფოთება გამოისმოდა რუსეთისა და რევოლუციის დასაცველად. მართლაც, საშინელი ხიფათი გველის. ქვეყანა დაღუპვის პირზედ სდგას. ერთად ერთი ხსნა რუსეთის ყველა შემადგენელ ერთა გმირულ აღფრთოვანებას შეუძლიან, ვინაიდან მხოლოდ ასეთს საზოგადო ენტუზიაზმითაა შესაძლებელი რევოლუციის მიერ მოპოვებულ თავისუფლების განმტკიცება და თავისუფალ ხალხის მიერ ბრძოლის ასპარეზის ღირსეული დაცვა",—ასეთი ფორმულით წარსდგა ჩვენი წარმომადგენელი ი. მაჭავარიანი 15 აგვ. მოსკოვში სახელმწიფო თათბირზე.

ამ ზოგადი ფორმულის განსამარტებლად, საქართველოს ისტორიული უფლებების გახსენების შემდეგ, ორატორმა დაურთო: „რუსის ხალხმა სხვა ერებთან ერთად და ქართველების დახმარებით დასწყვიტა მონობის ჯაჭვი და სისხლით აღიდგინა მოქალაქის უფლებანი. დადგა დრო, რომ მან უკუჰყაროს ძველი მთავრობის ზომები „ინოროდცების" წინაღმდეგ და სთქვას ცოცხალი სიტყვა სიყვარულისა და ძმობის შესახებ". ორატორი საბოლოოდ უფრო კონკრეტულად სვრის საკითხს: განახლებულმა რუსეთმა „საყოველთაოდ იცნოს და საქმით აღადგინოს რუსეთის შემადგენელ ერთა დღემდე დათრგუნული პოლიტიკური უფლებებიო".

სრული ჭეშმარიტებაა! ვინ იქნება ისეთი ჭკუანაყოფელი ამ სადა და მარტივს დებულებას ხელი არ მოაწეროს! პოლიტიკურად ერთეული რუსეთი მრავალ ტომიანი კრებითაა აფერადებული. ეს ერნი რწმენით, კულტურით, ადათებით, ზნე ჩვეულებით, ტემპერამენტით თუ მსოფლმხედველობით ხშირად ერთმანეთისაგან დიამეტრულად განსხვავდებიან.

არიან ერები, რომელნიც რუსეთთან დამოკიდებულებაში ისეთს სულიერ ტანჯვას განიცდიდნენ, როგორც ძველი ბერძნები ბარბაროსთა უღელქვეშ, მაგალითად, პოლონელები, გერმანელები, ლატიშები, ესტონელები ლიტველები, ფინები და სხვანი. თუ არა ეს ქვეყნები, რუსეთი უძრავ ნეპტუნად გარდაიქმნებოდა, თუმცა დიდად არ შევცდებით გულახდილად ვთქვათ, რომ ამ უძრაობისთვის დღესაც მაინც-და მაინც დიდად არ დაუღწევია რუსეთს თავი: ვერც ამ დასავლეთელ ღერცაკებმა შესძლეს მის უხამსი სხეულის შესაფერი სერთუკი შეეკერათ!

რუსეთის შემადგენლობაში ამ განათლებულ ერთა გვერდით უამრავია სამაჰმადიანო ქვეყნებიც, ებრაელობა, მათ გარდა ჩვენ,—ქართველობა, სომხობა და მრავალი სხვა. ბევრად თუ ცოტად თვითეულ ამ ერთაგანს თავისი წვლილი შეჰქონდა რუსეთის სულიერსა და ნივთიერს სალაროს განვითარებაში. კერძოდ საქართველომ, სხვა რომ არა ვსთქვათ რა, ის სიკეთე მაინც იყო, რომ მან პირველმა, როგორც ეს დაახასიათა ჩვენმა წარმომადგენელმა მოსკოვის თათბირზე, სრულის რწმენით და მომავლის იმედით „გაუღო დარიალის თერმოპილე", ურომლისოდაც რუსეთს, დიახაც, დიდხანს, ძალიან დიდხანს გაუძნელდებოდა აზიის პოლიტიკაში ჩაბმულიყო. გასაკვირველი აქ მხოლოდ ისაა, რომ მადის გახსნა en mangent კი არ მოსდით მათ, არამედ სრულ შიმშილობის დროს, როდესაც ხელიდან ყოველისფერი ეცლებათ. .

ძველს მმართველობას რუსეთის მთლიანობის დასაცველად მეტად პრიმიტიული საშუალებანი ჰქონდა გამონახული. ამ მთლიანობის დასაცველად აუცილებელ პირობად სთვლიდა სახელმწიფო გამგეობის სასტიკს ცენტრალიზაციას. იგი აშუჩად იგდებდა და სასტიკად სდევნიდა თავის შემადგენელ ერთა მისწრაფებას.

ახალმა რუსეთმა ბევრი ვერაფერი ცვლილება შეიტანა ახალ-მართვა-გამგეობის პოლიტიკაში. მართალია პირველ სიმთვრალისა და ყიჟინის დღეს თითქოს საყოველთაო თავისუფლება გამოცხადდა, ისიც მართალია, რომ ამ მხრივ რუსეთმა განათლებულ ქვეყნებსაც კი გაუსწრო საიდეალო პერსპექტივების გადაშლით, მაგრამ ყველა ეს უფრო დილეტანტთა ფანტაზიის ნაყოფი იყო, ვიდრე სახელმწიფო მართვა-გამგეობის ბრძნული კარნახი. მალე ახალი მთავრობაც ისევ ძველ ნაცადს გზას უნდა დასდგომოდა. მინისტრი სოციალისტი, ცნობილი კერენსკი, რომელსაც ბედის ირონიამ უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრებინა ისტორიის წინაშე, მინისტრი იგი ამ საზოგადო არევის დროს, ნაზ ხელზე ჯავშნიან ხელთათმანს იცვამს და მუშტს ულერებს უკრაინას და ფინეთს! არა, იუპიტერი უკეთესს დასჯას ვერ მოიგონებდა რუსეთისას, რომ კერენსკი მის მართვა-გამგეობის ბატონ-პატრონად არ გაეხადნა! და თუ ასეთია რუსეთის ერთი საუკეთესო შვილთაგანი, რომლის სულიერი სიმდიდრე ქამიზმის ლაფში შეუთითხნია, რაღა უნდა ვიიმედოთ არა თუ ძველი რეჟიმის, არამედ მოლიბერალე, თუნდა ნამდვილ ლიბერალ რუსეთისგან, რომელსაც უეჭველია, არასცდება ქვეყნის მართვა-გამგეობა, რა წამსაც ომი შეჩერდება? ყოველისფერი შესაძლებელია, მაგრამ რომ რუსის ფსიხიკა შესცვალოთ, გაევროპიელოთ ამ სიტყვის უკეთილშობილესი მნიშვნელობით, ეს კი ყოველისფერს აღემატება! უკეთილშობილესი ფორმულა საზოგადო ენტუზიაზმის შესაქმნელად მისთვის შეიძლება წამით მომხიბვლელი ზღაპარი იყოს, მაგრამ სინამდვილეში მას ისევე გადაჰქელავს ტლანქი ჩექმის ქუსლი, როგორც დღემდის ნელ-ნელა გადაჰქელა თავისივე დეკლარაციის ძირითადი დებულებანი!

ზოგს გულუბრყვილო პოლიტიკოსსა ჰგონია, ყოველისფერს დამფუძნებელი კრება მოგვცემსო. ასეთი დაპირებით რუსის ფსიხიკის ის ავადმყოფობა, რასაც „ზავთრას" სახელით ვიცნობთ. ეს იცის ფინეთმა, იცის უკრაინამაც და აკი მიტომაც დასცინის კერენსკის თითის ქნევას! პირადად ჩვენთვის, ქართველებისთვის, ასეთი იმედები უმომავლო მომავალია. თუ ჭეშმარიტი რუსეთი პოლიტიკურ სიბრძნეს დღესაც ისევ გადამტყდარ ხიშტის წვერზე ატრიალებს, რაღა უნდა იყოს მაშინ, როდესაც მისთვის საჭირონი აღარ იქნება არა თუ ჩვენი თავაზი. გმირობა, უგნური თავ-განწირულება, თვით ჩვენი უნიჭიერესი მამულიშვილნიც კი —წერეთლები და ჩხეიძენი! რუსეთის სინამდვილე საზოგადოდ ყველა ერისთვის და განსაკუთრებით კი პატარა საქართველოს იმედებისთვის სწორედ ის უზარმაზარი გრდემლია, რომელიც, სამწუხაროდ, იქნებ იმ აღთქმულ „დამფუძნებელ კრებასაც" არც კი უცდის, რომ ურო დაუშვას და ჩვენი ერის ახალი მონობის ახალ ბორკილის თვალთმაქცი ფორმა გამოსჭედოს!. .

დ. კასრაძე

# ომი და ზავი

## დეპეშები

### რუსეთის ფრონტი

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 25. ოფიციალი. **დასავლეთის ფრონტი.** რიგის მიმართულებით ზეგვოლდის რაიონში ჩვენ მოწინავეთ და მტრის ცხენოსნებს რამდენიმე შეტაკება ჰქონდათ. ფრონტის დანარჩენ უბნებში სროლაა.

**რუმინეთის ფრონტი.** სროლა და მზვერავ რაზმთა მოქმედებაა.

**კავკასიის ფრონტი.** სროლაა.

**ბალტიის ზღვა.** წარსულ კვირის განმავლობაში მტერი რიგის ყურეში მოქმედებდა. პერნოვის სამხრეთით მტრის ცეპელინებმა გადაიარეს, ამასთან გაინაშს რამდენიმე ყუმბარა ესროლეს. ზარალი არ ყოფილა. მარიამობისთვის 20 ღამე მტრის წყალქვეშებმა რიგის ყურიდან რიგისა და პერნოვის შუა ნაპირებს აუტეხეს სროლა. მათ 40 ყუმბარამდე ისროლეს. სოფ. კაბლოკთან მოკლულია ქალი, გოგო და ერთი ქალიც დაჭრილია. დილით მტრის წყალქვეშამ იერიში მიიტანა ტრანსპორტ „ლენელ"-ზე. მას 20 ყუმბარა ესროლა. ტრანსპორტს 37 მილიმეტრიანი ზარბაზნები ჰქონდა, ბრძოლა დაუწყო წყალქვეშას და უკუაქცია. ტრანსპორტზე დაიჭრა 2. ჩვენი საზარბაზნო ნავები და ნაღმოსანმტყორცნელები უსტ-დვინსკიდან წამოვიდნენ. რიგის ყურეში მტრის რამდენიმე წყალქვეშის გარდა გემები არ აღმოგვაჩენია. ჩვენი სამხედრო ძალები რიგის ყურეს იცავენ და მტერთან საბრძოლველად მზად არიან.

**მფრინავთა მოქმედება.** მარიამობისთვის 24 ჩვენი მფრინავები სადგურ ბარანოვიჩს დაესხნენ თავს და 8 ფუთამდე ყუმბარა ჩაყარეს. მარიამობისთვის 24 მტრის მფრინავთა რაზმმა სადგურ ზამირეს რაიონს აუტეხა სროლა.

### რუსები საგაზაფხულო ომისთვის ემზადებიან.

**მომქმედი ჯარი.** სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ რიგასთან შეტევაში მონაწილეობას იღებდნენ გერმანელთა ის დივიზიებიც, რომლებმაც გაარღვიეს ჩვენი ფრონტი ტარნოპოლთან და შემდეგ საჩქაროდ გადმოიყვანილ იქმნენ რიგაში. ცხადია, რომ მტრის ძალა ულეველი არ არის, მაგრამ მას ჰშველის წესიერება, დისციპლინა, შეუდრეკელობა და სიმხნე, ხოლო ყველაზე მეტად კი ვშველით თვით ჩვენა ჩვენი რყევით და დაქუცმაცებით. ჩვენ აქამდინაც გვეთათვებდით ომს, ახლა კი, ჯარი რომ დავასუსტეთ, ომი ერთი წლით კიდევ გაგრძელდება. ზამთარში დაპირდება ჯარის ხელახლად აღზრდა რუმინელთა მსგავსად, რათა გაზაფხულზე ბოლო მოვუღოთ მტერსაო.

### შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადება ფრონტის მდგომარეობის შესახებ.

**პეტროგრადი** მარიამობისთვის 24. შინაგან საქმეთა მინისტრმა აქსენტიევმა სთქვა: „ფრონტის მდგომარეობა მძიმე და საშიშია. მტერმა თავი მოუყარა აქ უამრავ ზარბაზნებს, რომლებსაც ვერ გაუძლო ჩვენმა ჯარმა და გადრკა, მაგრამ მომეტებული ნაწილი ჯარისა მაინც მაგრად იბრძოდა და იხევს წესიერად. ზოგი ნაწილი თავდადებით უკანასკნელამდე იბრძვის. ზარი და მიში ნაადრევია. პეტროგრადს ჯერჯერობით შიში არ მოელის. ამ დღეებში მთავრობა გამოაქვეყნებს მოწოდებას საქმის ნამდვილ მდგომარეობის შესახებ. დაცვის საკითხის გარდა, უდიდესი საქმეა—სასურსათო საქმე. მთავრობის ღონისძიებანი მიმართულია ამის მოსაწესრიგებლად. ყველა თავის ღონისძიებებში მთავრობა ემყარება დემოკრატიას და ბურჟუაზიას, რომელიც მხარს უჭერს მას. ჭეშმარიტ დემოკრატიად ჩვენ ვსთვლით იმათ, რომელნიც მიჰყვებიან დეპუტატთა საბჭოებს და არა „ბოლშევიკებს", რომლებიც ცალკე გამდგარან მათგან.

### ბალტიის ფლოტი

**ჰელსინგფორსი.** მარიამობისთვის 24. „იზ. სოვ. დეპ." ცენტრის ასპარეზის მოწინავეთა დეპეშას აქვეყნებს. დეპეშა ფლოტის უფროსს მიმართავს და სთხოვს ცენტრის მეცახოვნეთ—აცნობონ კერენსკის, რომ ცენტრის ასპარეზი თავის პასუხისმგებლობას ჰგრძნობს და ფიცს სდებს უკანასკნელ ყუმბარამდის არ დასტოვებს ასპარეზს. „იზვესტია" აღნიშნავს, რომ ჭეშმარიტი რევოლუციური ფლოტი გულგრილად ვერ შეეგებება სამშობლოსა და რევოლუციის დაღუპვას. ცენტრალებს „ანდრეი პერვოზვანნი", „რიურიკ"-ი, „ოლეგ"-ი და „ბოგატირ"-ი გამოეხმაურნენ. მათ შემდეგი დეპეშა გაუგზავნეს: სალამი თქვენდა ძვირფასო ამხანაგებო, იყავით მტკიცედ. დაიხოცენით, მაგრამ მტერს კი ნუ გაახარებთ. ჩვენ თქვენთან ვ რთ. ბალტიის ფლოტის ცენტრალი კომიტეტი შემდეგი მოწოდებით მიმართავს ფლოტს: „ამხანაგებო, მტერი გვიახლოვდება. ვილჰელმის ჯარი რუსის დემოკრატიის ლოზუნგებს ყურს არ უგდებს. ბალტიის ფლოტმა ყოველივე უთანხმოება და კერძო ინტერესები უნდა დაივიწყოს. მეგობრებო, დაუმტკიცეთ ქვეყანას, რომ ბალტიის ფლოტი რუსეთისთვის თავს გასწირავს და გერმანეთის ფლოტის წინაშე კი არ დაიხევს.

### პეტროგრადის დაცვისათვის

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 23. ფრონტის მდგომარეობის შეცვლის გამო, დროებითმა მთავრობამ გადაწყვიტა შექმნას საგანგებო გამგებლობა პეტროგრადისა საგანგებო უფლებებით, რომელსაც დაექვემდებარება ყველა სამოქალაქო დაწესებულებანი პეტროგრადისა. მას მიეცემა უფლება მიიღოს საგანგებო ზომები მშვიდობიანობის დაცვისათვის და თუ საჭირო იქნება გააძევოს ქალაქიდან საეჭვო პირნი, დახუროს გაზეთები და სხვა. საგანგებო გამგებლობამ საბოლოოდ არსებაში უნდა მოიყვანოს პეტროგრადის ზედმეტი ელემენტების გახიზვნა, თუნდაც ამით ზარალი მოუვიდეს კერძო პირებს. სამხედრო ოლქის გამგებლობა ექვემდებარება სავსებით უმაღლეს მთავარსარდალს.

### საფრანგეთის ფრონტი

**პარიზი.** მარიამობისთვის 24. სერნი რაიონში დიდი საარტილერიო ბრძოლაა. მდ. ენის ჩრდილოეთ ფრონტზე მტერი კონსიბასთან და ლაფუს წისქვილის აღმოსავლეთით დაგვესხა თავს. თავდასხმა მოვიგერიეთ. ბეეტტის სამხრეთით მარჯვე თავდასხმით ტყვეები წამოვიყვანეთ. შამპანში მენილის ტუობის უბანში შევიჭრით. მტრის არტილერია დიდ მოქმედებას იჩენდა. მაასის ორსავე მხარეზე საარტილერიო ბრძოლა გრძელდება. ლოტარინგიაში ლიმეს ჩრდილო-აღმოსავლეთით მტრის მოულოდნელი თავდასხმა მოვიგერიეთ.

**მფრინავთა მოქმედება.** გერმანელთა მფრინავებმა დიუნკერკს აუტეხეს სროლა. დაჭრილია რამდენიმე მოქალაქე. ღამე ჩვენმა მფრინავებმა მარვილის ჰაეროდრომს და შალერანჟას სადგურს დაუშინეს ყუმბარები.

**ინგლისის ბანაკის ცნობა.**

**ლონდონი.** მარიამობისთვის 25. ფლედრს აღმოსავლეთით და სენ-კანტენის სამხრეთ-აღმოსავლეთით წუხელ პატრულების შეტაკება სწარმოებდა.

### ახლო აღმოსავლეთი

**პარიზი.** მარიამობისთვის 22. დღემ მშვიდობით ჩაიარა. ვარდარის მარჯვენა ნაპირზე საარტილერიო სროლაა.

### იტალიის ფრონტი

**რომი.** მარიამობისთვის 23. წუხელ მტრის მფრინავებმა ვენეციას აუტეხეს სროლა. ზარალი არ ყოფილა.

### დახმარების გაცემა ჯარისკაცთა და მათ ოჯახებზე

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 23. დროებითმა მთავრობამ დაადგინა ამლიონ სასურსათო დახმარება 25 თიბათვის 1912 წლის კანონით ჯარისკაცებს და მათ ოჯახებს, დაწყებული 1 ენკენისთვიდან, თვის წინ, როგორც ქალაქებში, ისე სოფლებში.

### ამერიკულ გემის დაღუპვა

**ლონდონი.** მარიამობისთვის 22. კაპშტადტიდან იუწყებიან: მკათათვის 28-ს კაპშტადტიდან ნიუ-იორკში მიმავალი გემი „სიტიოფ-ეგნს"-ი ჩაძირეს. დაიღუპა 70 კაცი. მიზეზი გემის დაღუპვისა მინის აფეთქება ყოფილა.

### ამერიკის სესხი მოკავშირეთ.

**ნიუ-იორკი.** მარიამობისთვის 24. ამერიკამ მისცა ავანსად მოკავშირეებს 2.250.000.000 დოლლარი. აქედან რუსეთს მიეცემა 2.750.000.000 დოლლარი.

### გერმანოფილური პროპაგანდა ამერიკაში

**ნიუ-იორკი.** მარიამობისთვის 24 ჩიკაგოში და აგრეთვე სხვა ქალაქებში მთავრობამ ზომები მიიღო სხვა და სხვა ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც დემოკრატიულის ნიღაბით გერმანოფილურ პროპაგანდას ეწეოდნენ.

# რევოლუცია

## დეპეშები

### კონტრ-რევოლუციონერთა ჩხრეკა

**იალტა.** მარიამობისთვის 24. პირველ კლასის სასტუმროებში კონტრ-რევოლუციონერ შეთქმულების გამო მოულოდნელი ჩხრეკა მოხდა.

### იურიდიული ყრილობა

**მოსკოვი.** მარიამობისთვის 23 იურიდიულ ყრილობაზე მიღებულ რეზოლუციის პირველი ნაწილი აღნიშნავს, რომ საჭიროა გადასინჯვა იმ კანონისა, რომელიც მიწის თავისუფლად ყიდვა-გაყიდვას ჰკრძალავს. რეზოლუციის მეორე ნაწილი აცხადებს, რომ მოქალაქის საუფლებო წესი ხელშეუხებელია, რის გამოც ამ სფეროში სხვა და სხვა ორგანიზაციების ჩარევის ნება არ უნდა ჰქონდეთ.

### „სტაროობრიადელთა" ყრილობა

**მოსკოვი.** მარიამ. 23. „სტაროობრიადელთა" ყრილობამ სასურველად სცნო, რომ შესდგეს ადგილობრივ „სტაროობრიადელთა" კომიტეტები, რომელთაც უნდა დაევალოს პოლიტიკური ხელმძღვანელობა „სტაროობრიადელებისა" და არჩევნები დამფუძნებელ კრებაში და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში თუ დაწესებულებებში.

### საგანგებო მოხელეთა თანამდებობის გაუქმება

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 23. გამოცხადდა დადგენილება დროებითი მთავრობისა, რომლითაც უქმდება თანამდებობანი საგანგებო მოხელეთა მიწადმოქმედების უწყებაში.

### სოც.-დემოკრატ. პარტიის რეზოლუცია

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 21. (დაგვიანებულია) ორი დღის სხდომის შემდეგ, რომელშიაც მენშევიკ-ინტერნაციონალისტების გამოჩენილი წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, სოციალ-დემოკრატიულ პარტიის შეერთებულ ყრილობამ წერეთლის მიერ წამოყენებული რეზოლუცია მიიღო რეზოლუცია მთავრობის მხრის დასაჭერად მოუწოდებს.

### საეკლესიო კრება

**მოსკოვი.** მარიამობისთვის 27. დღეს კრებაზე წაიკითხეს ის მოწოდებები, რომლითაც მცხოვრებთა ჯარს მიმართავენ. მრისხანედ ჰკიცხავენ ფრონტის დამტოვებელ ჯარისკაცებს და შენანიებისათვის მოუწოდებენ. სამშობლოს ღირსეულ შვილების მიმართ კრებამ შემდეგი მოწოდება გამოსცა: თქვენ გიკრავთ გულში, თქვენთანაა მთელი ტანჯული რუსეთი. ვეამბორებით თქვენს ჭრილობებს, მუხლ ვიდრეკთ თქვენს დიდ სულის წინაშე.

ხალხს კრება სინანულისა და ლოცვისთვის მოუწოდებს. იგი სთხოვს, რომ ყველამ კერძო ინტერესები დაივიწყოს და სამშობლოს ეშველოს.

### სამხედრო ქარხნების დაცვისათვის

(კერენსკის ბრძანება)

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 24. ყაზანის სათოფეწამლო ქარხნისა და საწყობის ამ ცოტა ხნის აფეთქება, რომელმაც დიდი ზარალი მიაყენა დაცვის საქმეს და თითქმის მთლად არ გადიწვა უზარ-მაზარი ქალაქი, უკანასკნელ ზომებს მიღებას მოითხოვს, რომ შემდეგშიც არ გამეორდეს ასეთი კატასტროფიული უბედურება თოფის წამლის და ასაფეთქებელ მასალის ქარხნებში და საარტილერიო საწყობებში. ხშირად მუშები და მოსამსახურენი არ ასრულებენ იმ წესებს და ჩვენებებს, რომლებიც დიდი ხნის ცდითა და დაკვირვებით შემუშავდნენ. ხანდახან საქარხნო კომიტეტები აშყარებენ თავ თავიანთ წესებს და არავითარ ყურადღებას არ აქცევენ ადმინისტრაციის მიერ შემუშ ვებულ ბრძანებებსა და ინსტრუქციებს. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა საქარხნო ადმინისტრაცია ვერ უმკლავდება ტეხნიკურ უწესოებებს. ასეთ უწესოებათა გამო მეტად ძნელია სახიფათო მასალებით საქმის წარმოება. ყაზანის ქარხანაში მომხდარ უწესოების გარდა სხვა ქარხნებშიც ჰქონდა ადგილი უბედურებას. მართალია ისეთი საშინლებს არსად გამეორებულა, მაგრამ მსხვერპლი კი მაინც იყო. ასეთი აფეთქება მოხდა სორმოვის მილების დამამზადებელ ქარხანაში. ტრიცკში ტყვია წამლის დამამზადებელ ქარხნის ლაბორატორიის ჩამოსასხმელ სახელოსნოში ცეცხლი გაჩნდა. იქვე ცეცხლი მოედო საშუშხუნო სახელოსნოს. აფეთქება მოხდა აგრეთვე ოხტინის ას ფეთქებელ მასალის დამამზადებელ ქარხანაში და აგრეთვე სხვაგანაც. ყველა დაწესებულ წესების აუსრულებლობის გამო მოხდა. ასეთ უბედურებას ბოლო უნდა მოეღოს.

ვუბრძანებ ქარხნებისა და საწყობების უფროსებს თვალ-ყური ადევნონ ყოველივე წესების და ინსტრუქციების ყოვლის უპირობოდ ასრულებას. ხსენებულ ბრძანებების და ინსტრუქციების დამრღვევლები დაუყოვნებლივ დათხოვნილ იქმნენ. იმ შემთხვევებში თუ ხსენებული წესები და ინსტრუქციები საკმაო არ აღმოჩნდება სიფრთხილისაგან თავდაცვისათვის ვუბრძანებ ყველა ქარხნების უფროსებს, რომ დაუყოვნებლივ აცნობონ ამაზე სამხედრო მინისტრის ამხანაგს, რომელსაც ჯარის ტყვია წამლის მიწოდება ევალება. საგარეო და საშინაო დაცვა ქარხნებისა და ცეცხლის შექმობილია რაზმი საქარხნო ადმინისტრაციის ხელში უნდა იყოს.

ხელს აწერს სამხედრო მინისტრი ა. კერენსკი.

### სუხომლინოვის გასამართლება

#### გენერალ ალექსეევის ჩვენება

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 23. ჩვენების ბოლოს, გენერალ ალექსეევმა სთქვა: „ჯერ კიდევ ომამდე ავსტრიელთ ჯაშუშობა მოფენილი იყო მთელს კიევის სამხედრო ოლქში. ავსტრიის საკონსულო იყო ცენტრი, სადაც მოდიოდა ყოველი ცნობა, რასაც კი შეიტყობდნენ სადმე მისი აგენტები. ჩვენი კონტრ-ძიება კი სუსტი იყო".

## ყოფილ მინისტრის მაკაროვის ჩვენება

შინაგან საქმეთა ყოფილმა მინისტრმა მაკაროვმა, რომელიც დაპატიმრებულ იქმნა რევოლიუციის პირველ რიცხვებში, სთქვა: „როცა მე მინისტრის ამხანაგად ვიყავი, მივიღე ცნობები მიასოედოვზე, რომელიც მაშინ მსახურებდა ჟანდარმის ოფიცრად ვერჟბოლოვში და კონტრაბანდით იარაღი შემოჰქონდა რუსეთში. სტოლიპინმა უბრძანა გამოეძიონ საქმე და აღმოჩნდა, რომ მიასოედოვი დაახლოვებულია გერმანელებთან და მათ საქმეებთან. მიასოედოვი შიდა რუსეთში გადმოიყვანეს. მიასოედოვი გამოვიდა სამსახურიდამ, ხელი მიჰყო კომერციას და დაუახლოვდა ავსტრო-გერმანელთა ქვეშევრდომთ, რომელთაც იცნობდნენ, როგორც ჯაშუშებს.

შემდეგ, როცა მე მინისტრად გავხდი, შევიტყე, რომ მიასოედოვი კვლავ სამსახურში შესულა და დანიშნულია სუხომლინოვთან. მე გავაფრთხილე სუხომლინოვი, მაგრამ მან ყურადღება არ მიაქციაო. მიასოედოვი ცდილობდა გაეცნო კონტრ-საძიებელი და სამხედრო საქმეები პოლიციის დეპარტამენტში, მაგრამ ამის ნება არ მიეციათ. 1912 წელს მე მივწერე ოფიციალური წერილი სუხომლინოვს და მხოლოდ მაშინ გავიდა მიასოედოვი სამსახურიდამ. მე გავაფრთხილე სუხომლინოვი ალშტილერზედაც, რომელზედაც ცუდი ცნობები მოგვდიოდა, მაგრამ სუხომლინოვმა არც ამას მიაქცია ყურადღებაო.

# რუსეთი და უცხოეთი

## სრულიად რუსეთის ბუდდისტთა კრება.

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 25. სრულიად რუსეთის ბუდდისტთა კრებაზედ, რომელიც შესდგებოდა ციმბირიდამ, ყალმიყთა ტრამიდამ და დონის ოლქიდამ ჩამოსულებისგან, სარწმუნოებათა მინისტრმა კარტაშევმა სთქვა: დღეს თქვენ უნდა გადასწყვიტოთ ადამიანთა სულიერი და კულტურული ცხოვრების მიზნებიო. კრება შეუდგა დებულების პროექტის შედგენას ციმბირისა, ყალმიყთა, ტრამისა და დონის ოლქში მცხოვრებ ბუდდისტებისათვის.

## თურქესტანის პურით უზრუნველყოფა

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 24. მებამბეთა ყრილობამ დაადგინა შუამდგომლობა აღძრას დროებით მთავრობის წინაშე, რათა თურქესტანი 33 მილიონი ფუთი პურით უზრუნველჰყოს. ყრილობამ დაადგინა, რომ შარშანდელ მოსავლის ბამბა 36 მანეთად უნდა გაიყიდოს.

## სოფ. ზემგორის გადაწვა

**მინსკი.** მარიამობისთვის 25. წუხელ სოფ. „ზემგორა“ გადაიწვა. ქალაქის სიშორის გამო ცეცხლის მქრობელ რაზმმა დაიგვიანა. დაიწვა საგანმანათლებლო პუნქტები, მასალების საწყობები, ზამთრის ტანისამოსი და საკერავის მანქანათა სახელოსნო.

# ეროვნული საკითხი

## პოლონელთა თათბირი კრაკოვში

**ბერნი.** მარიამობისთვის 25. კრაკოვში შესდგა თათბირი პოლონელთა კლუბებისა. ლაპარაკი ჰქონდა უმაღლეს ეროვნულ კომიტეტის მოწვევაზე. კონსერვატორებს მოუვიდათ კამათი დემოკრატებთან, რომელნიც მოითხოვდნენ პოლონეთის დამოუკიდებლობას და ტრიალ დამოკიდებულებას ავსტრიასთან და სხვა პარტიებთან, რომლებიც მოითხოვდნენ მთლიან პოლონეთის აღდგენას ზღვაში გასავალი გზით.

## ასტრახანის ყაზახობა

**ნოვო-ჩერკასკი.** მარიამობისთვის 24. ასტრახანის ყაზახობა თხოულობს დონის ყაზახებთან შეერთებას.

# უკრაინა და რუსეთი

## ჯარის უკრაინიზაცია

**კიევი.** მარიამობისთვის 24. უკრაინის ჯარის რადა იტყობინება, რომ ზოგიერთ დივიზიებში, რომელნიც უნდა შევსებულ იქმნენ მარტო უკრაინელებით, ავრცელებენ პროვოკაციულ ხმებს, ვითომც, ამ დივიზიების ყველა ჯარისკაცნი და ოფიცრები, წინააღმდეგ მათი სურვილისა, გადაყვანილნი იქნებიან სხვა ნაწილებში. ჯარის რადა განმარტავს რა, რომ უკრაინიზაცია ის კი არ არის, რომ ძველი ჯარისკაცნი გავაძევოთ ჯარიდან, არამედ მხოლოდ შევავსოთ ჯარები უკრაინელებით,—მიიღო [illegible] ხმების გამავრცელებელთ, რადგან ეს შლილი და განხეთქილება შეაქვთ მათ რუსთა და უკრაინელთა დემოკრატიაში. რადა მოუწოდებს ჯარის ორგანიზაციებს სასწრაფოდ დაარსონ ყველგან უკრაინელთა სადივიზიო და საკორპუსო კომიტეტები, რომელნიც ხელს შეუწყობენ რევოლიუციურ დემოკრატიას გამოეყოს რეაქციონურ ელემენტებს.

## კათედრები უკრაინის სწავლისა

**პეტროგრადი.** მარიამობისთვის 25. სწავლა-განათლების სამინისტრომ დროებით მთავრობაში საკანონმდებლო წინადადება შეიტანა. მოითხოვენ კიევის უნივერსიტეტში 1917—1918 წლისათვის უკრაინის შესასწავლად 4 კათედრის დაარსებას. არსდება კათედრა უკრაინელებისა, ისტორიისა და ლიტერატურის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე და დასავლეთ რუსულ უფლებათა—იურიდიულზე. ყირგიზთა ოლქის კომისრად დანიშნულია კიმანოვი, ხოლო კამჩატკისა ლავროვი.

# თათრული პოლკები

მოსკოვის მაჰმადიანთა ყრილობაზე ეროვნულ პოლკების საკითხი წამოაყენეს: პრინციპიულად მის წინააღმდეგი არავინ იყო. მოხსენების შემდეგ ერთხმად მიღებულ იქმნა შემდეგი რეზოლუცია.

1) მუდმივ ჯარის გაუქმება და მის სახალხო მილიციით შეცვლა.

2) რადგან ჯერჯერობით ჯარის გაუქმება შეუძლებელია — შესდგეს ეროვნული პოლკები.

3) ეხლავე შეუდგეთ თათრულ პოლკების და დივიზიების ცალკე შედგენას.

4) ამ მიზნის განხორციელებას გამოცხადებითი წესით შეუდგეთ, ამაზე ეცნობოს დროებით მთავრობას.

5) გეგმის შედგენა და ეროვნულ ლაშქრის ნაწილების შესადგენად პროექტის გამომუშავება დაევალოს საგანგებო კომისიას, რომელიც მუსულმანთა ცენტრალ სამხედრო საბჭოსთან დაარსდება.

6) მუსულმანთა სათადარიგო ჯარი ფრონტებზე გაგზავნისას ეროვნულ ნაწილებში უნდა დაიგზავნენ.

7) მიღებულ იქმნას ზომები, რომ მთავრობამ ყირიმის თათართა ბატალიონები ცალკე ეროვნულ ნაწილებად გამოაცხადოს და იგი სწორუფლებიანი იყოს.

8) სასურველია რუსეთის ერთა კავშირის ცენტრალ ორგანოს თანხმობით თათართა საგანგებო პარტიების დაარსება.

9) ეხლავე გამოეყვნენ მუსულმანი ჯარისკაცები, რომელთაც ფრონტზე გზავნიან და მათგან თათართა საგანგებო პოლკები შეადგინონ.

10) კავკასიაში მუსულმანთა საგანგებო დრუჟინების შედგენას წინააღმდეგობა არავინ გაუწიოს.

11) არავითარ დაბრკოლებას არ უნდა ჰქონდეს ადგილი ჯარისკაცთა და ოფიცრების გაცვლაში ეროვნულ რაზმების შედგენის დროს კავკასიაში, ყირიმში და თურქესტანში.

# ქრონიკა

## თბილისი

◆ **ილია ჭავჭავაძის** ტრაგიკულად გარდაცვალების 10 წლის თავზე, სამშაბათს, მარიამობისთვის 29 ს ქათალიკოსის მოსაყდრე თბილისის მიტროპოლიტი ლეონიდე სწირავს მთაწმინდის ეკლესიაში და შემდეგ პანაშვიდს გარდაიხდის დიდებულ მგოსნისა და საზოგადო მოღვაწის საფლავზე. ამავე დღეს პანაშვიდი იქნება გადახდილი წიწამურში იმ ალაგას, საცა უგნურების ხელით განიგმირა ილია.

◆ **ქართული წიგნები.** თბილისის ქართველ მასწავლებელთ განზრახული აქვთ შეადგინონ [illegible] წრე, რომელიც იკისრებს სკოლების სახელმძღვანელოებისა და საბავშვო და სახალხო წიგნების თარგმნას და შედგენას. წერა-კითხვის საზოგადოება თავის ხარჯზე იკისრებს ამ წიგნების გამოცემას.

◆ **შეწირულებები.** ზაქარია მეფარიძემ გადასცა წერა-კითხვის საზოგადოების ნდობას 1,500 მან. და სთხოვა, რომ ამ ფულით სამკითხველო დაარსოს სოფ. შექვეთში (ზესტაფონის მაზ.), ბიბლიოთეკის შესანახად აღუთქვა მეფარიძემ წლიურად ასი მანეთი.

◆ **სურსათი.** ქალაქი თბილისი 1 თვით უზრუნველყოფილია პურით და კარტოფილის მხრივ. ამასთანავე იმედია, რომ ბაქოს გუბერნიაში შეიძინა თბილისისთვის ასი ვაგონი ბრინჯი.

◆ **მკვლელობა სიყვარულისათვის.** პრაპორჩიკმა ბ. ტიმოფეევმა, ცოლ-შვილიან კაცს, გაიცნობით შეჰყვარებია ახალგაზდა ქალი მარიამ აგანაშვილი. ეს უკანასკნელი უარს ეუბნებოდა ტიმოფეევს. ერთ დროს ტიმოფეევი თბილისიდან სხვაგანაც კი გადაუმწევებიათ სამსახურში, ქალისთვის რომ მოეშორებინათ, მაგრამ ის მაინც არ ივიწყებდა ახალგაზდა მარიამს. მარიამობისთვის 24-ს ტიმოფეევი ქ-ნ ო. სტოიანოვის სახლში მისულა სტუმრად და იქ ანნა ზოლოტარიოვას მოტყუილებით მიუყვანია მარიამ აგანაშვილი. ტიმოფეევს ხელახლა დაუწყია მისთვის ხვეწნა ცოლად გამომყევიო, თან იმასაც ეუბნებოდა თურმე, რომ ჩემს ცოლს ვშორდებიო. აგანაშვილის ქალზე ვერავითარმა თხოვნამ ვერ გასჭრა. მაშინ ტიმოფეევს ამოუღია რევოლვერი და ხუთჯერ დაუხლია გულში ტყვია საბრალო მარიამისთვის. ტიმოფეევი თვითონვე გამოცხადებულა საკომენდატოში და განუცხადებია ქალი მოვკალიო.

◆ **თბილისის პოლიტეხნიკუმში** მიცემულია სულ 550 თხოვნა. მთხოვნელთა უმრავლესობას შეადგენენ ქართველები, შემდეგ სომხები და შემდეგ ებრაელები. რუსები შედარებით ცოტანი არიან. მთხოვნელთა შორის კარგა ბლომად არიან სხვა და სხვა მაღალ სასწავლებელთა მოსწავლენი.

◆ **ახალი სკოლები.** ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიამ გადასწყვიტა გაიხსნას თბილისში 7 ახალი პირველ დაწყებითი სკოლა.

◆ **ბანკების ბოიკოტი.** როგორც სავსებით გამოირკვა თბილისის ზოგიერთ ბანკებს გადაუწყვეტიათ ბოიკოტი გამოუცხადონ თბილისის ქალაქის ახალ თვითმართველობას, ე. ი. ფული არ ასესხონ. მაგრამ სხვა ბანკებს აღუთქვამთ ქალაქის გამგეობისათვის, რომ რამდენიც დაგჭიროებათ, იმდენს მოგცემთ ფულსო.

◆ **თბილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტის** გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგად არჩეულ იქნა ს. დანდუროვი, თავმჯდომარის ამხანაგად დარჩია და ნინიძე, გამგეობის წევრებად გ. ლალაქიშვილი, ო. კიკვაძე, ი. ფირუმოვი და ჟღენტი. ჯამაგირი თანაბრად დაენიშნათ ყველას, თითოს 500 მან. თვიურად. სარაიონო სასურსათო კომიტეტების თავმჯდომარეთ თითოს თვიურად დაენიშნათ 200 მან., გამგეობის წევრთ 150 მან.

საფუთო გადასახადის საშუალებით კომიტეტის შესანახად შემოსულა მიმდინარე წლის 20 მარტიდან 20 მარიამობისთვემდე 58,000 მან., დახარჯულა 55,000 მან. საფუთო გადასახადია დაწესებული ფუთ შაქარზე 5 კაპ., ფუთ ფქვილზე, ხორბალზე და ქერზე 3 კაპ., სიმინდზე 2 კაპ.

◆ **ქალთა საეპარქიო სასწავლებელში** ყველა საგნების ქართულად სწავლება წელსვე დაიწყობა. სწავლა განახლდება სასწავლებელში არა უგვიანეს 2 ღვინობისთვის. მისაღები და განმეორებითი გამოცდის დღე ცალკე გამოცხადდება. სასწავლებლის ადმინისტრაცია იმის ზრუნვაშია, რომ დაცულ იქმნას არა ქართველ მოსწავლეთა ინტერესი, რომელნიც უმცირესობას შეადგენენ.

◆ **სასურსათო საქმე-თვითმართველობათა ხელში.** სასურსათო სამინისტროში აღძრეს საკითხი სასურსათო საქმის ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოთა ხელში გადაცემის შესახებ.

◆ **ქართული ენის თარჯიმნად** ქალაქის თვითმართველობაში მიწვეულია ზ. გ. (შაქრო) ბილანიშვილი.

◆ **თბილისის ქალთა უმაღლეს კურსების დირექტორს** წინადადება მოუვიდა განათლების სამინისტროდან, რომ იხმაროს ღონისძიება, რომ კურსებზე მიღებულ იქმნან პეტროგრადის უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტები, ქალნი და ვაჟნი, ამის გამო თითოეულ კურსზე გადააჭარბოს დაწესებულ კომპლექტების რიცხვმა.

## ქუთაისი

◆ **ილია ქუთათელაძის შესახებ.** საგუბერნ. აღმ. კომიტეტის სხდომაზე ბ-ნ გრიგოლ ურატაძემ სხდომას აუწყა სოფ. დიდ-ჯიხაიშში მომხდარი საზარელი ამბავი: ადგილობრივ აღმ. კომიტეტის თავმჯდომარის და მასწავლებლის ილია ქუთათელაძის ვერაგულად მოკვლა.

◆ **ინსპექტორ ბრუსილოვსკის შესახებ.** ქუთაისის გუბერნიის სამოსწავლო კომისარიატის წევრები იოსებ ოცხელი და სილოვან ხუნდაძე ქუთ. გუბ. აღმ. კომიტეტს აუწყებენ, რომ ქუთ. გუბ. პირველ რაიონის სახალხო სკოლების ინსპექტორი ბრუსილოვსკი გადაყენებულია თანამდებობიდან. მიუხედავად ამისა ბრუსილოვსკი არ დებულობს კომისარიატის განკარგულებას, როდესაც მასთან მიდიან იგი სახლში არ ხვდება. ამიტომ კომისარიატი აცხადებს, რომ ბრუსილოვსკის დასავლეთ საქართველოს სასწავლებელში ადგილი არ ექნება (სკოლის ნაციონალიზაციის გამო), და იგი ვალდებულია ახლავე დასტოვოს დასავლეთ საქართველოს საზღვრები და ადგილი მოსძებნოს რუსულ სკოლაში. ბრუსილოვსკის მოვალეობას დრ. შეასრულებს ქუთ. გუბ. სახალხო სკოლების ერთ-ერთი ინსპექტორთაგანი.

◆ **ოფიცერ კობახიას მოკვლა.** ორშაბათს, საღამოს, საათის 8-ზე რესტორან „დათვ დან“ გამოდიოდა ახალგაზდა ოფიცერი კობახია. კობახიას წინ შეხვედრია ჯ. ქ. იობიძე, რომელთანაც წინათ პირადი უსიამოვნება ჰქონია, ოფიცერს და ჯარის კაცს ლაპარაკი მოუვიდათ. ოფიცერმა რევოლვერი დაახალა მიწაზე. ამ დროს ჯარის კაცმა ყვირილი მორთო „მომკლესო“. სხვა ჯარის კაცები მოგროვდნენ და ოფიცერი დააკავეს. ქუჩებში ხმა გავარდა, რომ ჯარის კაცებს ხოცავენო, რის გამო სასწრაფოდ ქუჩაში გამოვიდა ჯარი და ქალაქი შიშმა მოიცვა. რამდენჯერმე გაისროლეს თოფი ზევრს, გზათ მიმავალ ქალს გული შეუწუხდა და დაეცა. ჯარის კაცების ერთმა ნაწილმა ოფიცერ კობახიას ცემა დაუწყო, მათი შეჩერება ყოვლად შეუძლებელი გახდა. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოსთან მისვლამდე ოფიცერი სასიკვდილოთ გალახეს. მოლაპარაკე ჯარისკაცებს სიტყვით მიმართა გუბერნიის კომისარმა ბ-ნმა გრ. გიორგაძემ, რის შემდეგომაც ისინი დაწყნარდნენ. ოფიცერი ინახულა გრ. გიორგაძემ და სთქვა ისეა ნაცემი, რომ მისი მორჩენა დიდათ საეჭვოა.

## ფოთი.

◆ **შაქარი.** სამხედრო საჭიროებისათვის ფოთში მოვიდა შაქარი. სასურ. სამინისტროს რწმუნებული სთხოვს ქუთ. გუბ. სასურ. კომიტეტს, იშოვოს მუშები შაქრის გადმოსაზიდათ. შაქრის გადაგზავნ-გადმოგზავნა უნდა მოხდეს მორიგეობის გარეშე.

## ოზურგეთი

◆ **თავის ჩამოხრჩობა.** 13 მარიამობისთვეს ოზურგეთის მოქალაქე ივ. მახარაძემ თავი ჩამოიხრჩო. როგორც ამბობენ, განსვენებულს წინა დღით სასოწარკვეთილებით უთქვამს: ექვსი ქცევა მიწა დავთესე და ექვსი ჯამი სიმინდი არ მომივაო“.

## ქობულეთი

◆ **მოგზაურთა საყურადღებოთ.** ახალი განკარგულებით ქობულეთში შესვლა რკინის გზით უმოწმობოთაც შეიძლება, მოწმობას (пропускъ) თხოულობენ ქობულეთს მერე ჩაქვსა და ბათუმში.

## გორი.

◆ **ქალაქის არჩევნები.** საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია ბ-ნი ონიაშვილი, მდივნად ვართანიანცი, ქალაქის მოურავად ს. რობაქიძე, გამგეობის წევრებად—ციციშვილი, კაპანაძე და ჯავახიშვილი. ყველანი სოც.-დემოკრატები არიან.

## კახეთი·

◆ **სახნავი მანქანის გამოწერა.** ძველებური გუთნებით მუშაობა ნამეტანი ძვირდება: ერთი დესეტინის მოხვნა 80 მან. ჯდება მაშინ, როდესაც წინა წლებში ჯდებოდა 10—20 მ. ამის გამო ს. საგარეჯოს მცხოვრებთა ერთმა ჯგუფმა „ტრაქტორი“ (სახნავი მანქანა) შეიძინა ხარკოვში და ამ დღეებში მიიღებს. საგარეჯოელების მაგალითს შიდა კახეთის ორმა სხვა სოფელმაც მიბაძა. „ტრაქტორით“ მოხვნა დესიატინა ჯდება 20 მანეთამდე.

# ღვინით ვაჭრობა

როგორც ვიცით, ამიერ კავკასიის მევენახეთა და მეღვინეთა საბჭომ ვრცელი პროექტი შეიმუშავა შესახებ ღვინის ვაჭრობისა. ეს მოხსენება განიხილა და დაამტკიცა ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტმა, რომლის სხდომას აგრეთვე დაესწრნენ სალდათებისა და მუშების დეპუტატთა რწმუნებულები. პროექტის განხორციელებას სოფლის მეურნეები დიდის მოუთმენლობით მოელოდნენ, მაგრამ ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტმა მისი განხორციელება ვერ გაბედა და განსახილველად გადასცა სალდათებისა და მუშების დეპუტატთა საბჭოს, ხოლო ამ უკანასკნელმა საკითხი გადასცა ამიერ-კავკას. საოლ. ცენტრს. ამ უკანასკნელმა საკითხი განიხილა მარიამობისთვის 25-ს. მოხსენება წაიკითხა მ. ქარცივაძემ, რომელმაც ის დედა-აზრი გაატარა მოხსენებაში, რომ ღვინით ვაჭრობა ნებადართულ უნდა იყვესო. მომხსენებლის წინააღმდეგ ილაპარაკა ილ. ქარცივაძემ, დანარჩენები ყველანი მხარს უჭერდნენ მოხსენებას. ბოლოს კრებამ საკითხის განხილვა და ერთი კვირის განმავლობაში მოხსენების წარმოდგენა მიანდო საგანგებო კომისიას, რომელშიაც წევრებად აირჩიეს ბ-ნი შარაშანიძე, ერემაძე, სოხნევი, ბოგოროვსკი.

# ოსთა ყრილობა.

საგანგებო ყრილობამ ოსთა ხალხის წარმომადგენლებისამ სოფ. არდონში იქონია-რა მსჯელობა დღევანდელ ვითარებაზე, გამოიტანა შემდეგი რეზოლუცია: „ვიღებთ-რა მხედველობაში, რომ კონტრ-რევოლიუციური ძალები ცდილობენ მოსპონ და გააუქმონ სამოქალაქო ბრძოლის თავისუფლებანი; რომ დღეს ერთად ერთ სარევოლიუციო ტაქტიკად მიჩნეულია დროებითი მთავრობისთვის მხარის მიცემა; რომ ნამდვილი რევოლიუციურ ორგანოებად ითვლებიან მაუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოები; რომ ყველა ერების ხსნა და რევოლიუციისა ხალხის სასარგებლოდ დამთავრება შეიძლება მხოლოდ ხალხთან ერთობით და საბჭოებთან შეთანხმებული მოქმედებით; რომ კავკასიაში თავისუფლებათა და მშვიდობიანობის დამცველი არის დარაზმული დემოკრატია ყველა ერებისა, —ოსთა ხალხის წარმომადგენელთა ყრილობამ ერთხმად დაადგინა: მხარი დაუჭიროს ყოველი თვისი საშუალებით მთიელთა კავშირს და ცენტრალ კომიტეტსა, რომელმაც ერთად მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოებთან უნდა დაიცვან შეძენილი თავისუფლებანი და თან შექმნან პირობები მშვიდობიანი შემოქმედებითი მუშაობისათვის.

ყრილობა ამასთან სასიამოვნო ვალდებულად სთვლის მიულოცოს ჩ. კავკასიაში ჩამოსულ ოსეთის სათად. ცხენოსან პოლკსა, როგორც დამცველებს სარევოლიუციო წეს-წყობილებისა და სიხარულს გამოსთქვამს პოლკის დელეგატის პრაპორჩიკ ურუსოვისაგან გადმოცემულ ამბავზე, რომ მათ თავიანთი წარმომადგენლები აურჩევიათ კავკასიის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოში“...

# ქართველ ჯარის-კაცებს ფრონტზე აღარ გზავნიან

ქუთაისში შემდეგი დეპეშა მოვიდა: 21 აგვისტოს 1917 წ. მე-2 ამიერ-კავკასიის სათადარიგო ბრიგადის უფროსს. ასლი მე-115 სათადარიგო პოლკის უფროსს. მთავარსარდალმა გამოსცა ბძანება მე-115 სათადარიგო პოლკის უფროსის საყურადღებოდ. ამიერიდან შესაფერ განკარგულებამდე შეუწყვიტოს გაგზავნა ქართველი ჯარისკაცების ფრონტზე. ამასთანავე მისივე ბრძანებით ეს ქართველი ჯარისკაცები თავმოყრილი იქმნენ ერთ-ერთ ბატალიონში ზემოხსენებული პოლკისა.

**გენერალი დუხოვსკოი.**

# სომეხ ჯარისკაცთა ყრილობა.

ჰორიზონი“-ს ცნობით, ამ მოკლე ხანში კავკასიის მსროლელთა ორ პოლკის სომეხ ოფიცერთა და ჯარის კაცების საერთო ყრილობა მოხდა. ყრილობაზე რამდენიმე ქართველი ოფიცერიც დაესწრო. თავმჯდომარეობდა კაპიტანი ე. ტერ-ავეტიკიანი. ცარცვა-გლეჯისაგან სომხის სოფლების დასაცავად ყრილობამ დაადგინა დროებით მთავრობას ყაზახების სომეხ ჯარისკაცებით შეცვლა ეთხოვოს.

დადგენილ იქმნა აგრეთვე რომ სომხის ჯარისკაცებს გაზეთები მიაწოდონ.

ყრილობამ დაადგინა მიიღოს ყოველივე ზომები დეზერტირების წინააღმდეგ.

დასასრულ სომეხ ჯარისკაცთა პირველ ყრილობას ქართველი ოფიცერი მიესალმა. მან აღნიშნა კეთილი განწყობილება სომეხთა და ქართველებს შორის. დასასრულ ორატორმა მოაგონა სომხებს თუ რა სიკეთეს უნდა მოელოდნენ ისინი რუსეთის რევოლიუციისაგან. ყრილობამ „ვაშა“-თი დააჯილდოვა რუსეთის რევოლიუცია, ქართველები და ტანჯული სომხები.

# სომხები და ქურთები

სახელმწიფო სათათბიროს უცხოეთის ნაწილის თანამშრომელ აბუღფას მურადოვმა ექიმ სულთანოვის სახელზე შემდეგი დეპეშა გამოგზავნა შახტახტიდან: „17 აგვისტოს ყაზახებმა ძალმომრეობა იხმარეს 40 მაჰმადიან ქალზე და ბევრი დაასახიჩრეს. 18 აგვისტოს ყაზახებმა ბაიაზეთის მცხოვრებლების ტიგრან ჩახატურიანის, სალდათ მანუკ მამიკონიანის და პორუჩიკ არუთინოვის მეთაურობით [illegible] მთელი მაზრის [illegible] და წვრილფეხი საქონელი ბაიაზეთელებისა და დაამწყვდიეს მათი ხელში. 19 აგვისტოს პორუჩიკი არუთინოვი 500 სალდათთა თანხლებით გაემგზავრა სადგურ დონდუზ ყალაზე, მიზეზად ის დაასახელა, რომ სალდათები მშიერიან ქურთების წინააღმდეგ, რომელთაც გზა გადაუჭრიათ და მავთულები აუყრიათ ტელეგრაფის ბოძებიდანაო. არუთინოვმა ეს ძალა არ იკმარა და მალე ვითომც და ამავე მიზნით მოითხოვა ბაიაზეთიდან არტილერია და ცხენოსანი, რომელნიც დაუყოვნებლივ იქმნენ გაგზავნილნი. ბოლოს კი გამოირკვა, რომ არუთინოვის მიერ მოწვდილი ცნობები ყალბი აღმოჩნდა. ხალხი თავზარდაცემულია. არუთინოვი საჯაროდ ეწევა აგიტაციას, რომ მაჰმადიანთა მცხოვრებნი სულ მთლად ხოცონ. მდგომარეობა მეტად ამღელვებულია. აცნობეთ პეტროგრადში და ყაზანში.

# პატარა ფელეტონი

## ანდერძი.

I

შეხვდნენ, გაიცნეს და რაღაცა უჩინარი ძაფები აღეძრათ გულში. ძაფები დაგრძელდნენ, დაგრძელდნენ და ორთავეს, გულები ერთმანეთს გადაუბეს. გული გულისაკენ მიიწევდა და ისინი კი ერთმანეთს სახემოღუშულები უცქეროდნენ.

— ვინ მოგასწავლათ ჩემთან?—გაისმა მშრალი ხმა.

— თქვენ, ბატონო, ყველა გიცნობთ!—იყო ყრუდ წარმოთქმული პასუხი.

— განა შესძლებთ ჩემთან მუშაობას?

— მე ვერ ვხედავდი, საქმის ს ძნელე მაზინებდა, მაგრამ... მოვედი.. განახეთ...—შეჩერდა.

ერთმანეთს თვალი თვალში გაუყარეს.

— მერე რომ მნახეთ?

— ვიმუშავებ.

— ხვალ მოდით.

უცნაური იყო: ასე ადვილად არავის მოწვევაზე არ დათანხმებულა.

გაშორდნენ.

გულთა შორის გაბმული ძაფები დაეჭიმათ და დაუწყდათ. ტკბილები იგრძნეს.

II

მეორე დღეს ერთად მუშაობა დაიწყეს. ქამმა ისე გაიარა, რომ ხმა არ გაუციათ ერთმანეთისათვის. ძაფებმა კი ისევ წამოყვეს თავები ორივეს გულში და სწრაფად გადაიკვანძნენ. გულები ამღერდნენ, ისინი კი თავს არ იღებდნენ. გულის ლტოლვას ყურს არ უგდებდნენ.

— კმარა!—გაისმა მკვეთრი ხმა.

მუშაობას თავი ანებეს.

— მიხვალთ შინა?—იკითხა დადუმნად ქცეულმა ხმამ.

— მივდივარ.

კარი გაიღო, ოთახიდან ფეხი გადადგა. სახე დაეღვრიმა; გულის ძაფები ეჭიმებოდნენ, ტკივილებსა გრძნობდა. ზურგთ უკან კვნესა გაისმა. სახე გაისწორა, გულგრილობის ნიღაბი ჩამოიფარა და მოტრიალდა.

— უნდა დამიბაროთ რამე?—იკითხა.

პასუხად მხოლოდ ცივი „არა“ იყო.

— მაშ ნახვამდის!

სამაგიერო არ გაიგონა.

წავიდა.

III

დღეს დილით მისის ვარდის თაიგული მოიტანა: უნდა ეთავაზნა, მაგრამ გვერდით დაიდო და საქმეს ხელი მოჰკიდა.

— უწყალოდ დაჭკნება!—გაისმა მისთვის მოულოდნელად სიტყვები.

— ხშირად ადამიანებიც რჩებიან უწყალოდ.—გაეხმაურა დაბალის ხმით და ვარდებისაკენ მიიხედა.

თაიგული ხელში აღარ იყო. იმას აეღო: წყალში სხვამდა. იმა..

მაგრამ ჭიქაში მოთავსებული ყვავილები მალე ისევ თავის გვერდით დაინახა. ეწყინა.

— გიყვართ მაისის ვარდები?—გაისმა ისევ მისთვის მოულოდნელად.

— ძალიან!.. მინდა რომ ჩემ გულშიაც ყვაოდნენ... მაისი იყოს.

— ეხლა?!

— სიცივეა!—უთხრა მოკლედ და წასასვლელად გაემზადა.

გამოეთხოვა.

— ყვავილები აქა გრჩებათ!—გაიგონა კარებში გამოსვლისას.

— ხვალ მოვალ!—აუწყა ჩაწყვეტილის ხმით და გარედ გამოვიდა.

რახუნი გაიგონა და ისევ უკან დაბრუნდა.

მარტო დარჩენილს უნებლიეთ ჭიქა გადმოვარდნოდა, გატეხოდა, ყვავილები დაჭუჭნულიყო, დაფანტულიყო და

ზრუნვით ჰკრეფავდა, თან ალერსიანად ზუზუნებდა.

უკან დაბრუნებული დაინახა.

— რაღათ დაბრუნდი?!—შეეკითხა ყუმგხად.

— ხომ... ხომ არაფერი... ხომ არაფერი გინდათ რა?—უპასუხა დაბნეულად.

— არა!

— არა? ნახვამდის!

ოთახიდან ისევ გამოვიდა.

ის უკან გამოჰყვა. დიდხანს თვალი არ მოუშორებია... იმას კი აღარ მოუხედნია. გულმა კვნესა დაუწყო. იგრძნო, რომ წასულს თან იმისი რაღაც გაჰყვა. სახე დაესერა. ამოიოხრა და ნელის ნაბიჯით ოთახში შებრუნდა: ისევ ყვაილებს დაუწყო კრეფა.

IV

წელიწადი წელიწადს მოჰყვა, დრომ დრო გააცილა და ისინი მაინც კიდევ ერთად მუშაობდნენ. გულები უჩინარი ძაფებით ისე მაგრა გადაეხლართათ, რომ ყოველი დაშორება ჯოჯოხეთურ ტკივილებსა ჰგვრიდა ორივეს. ერთმანეთს კი თითქოს ისევ ცივად უყურებდნენ: გარეგნული გულგრილობა ნიღაბად გადაეჭიმათ. ერთი ეს იყო, რომ გულის ტკივილების დროს თვალები გამოუცდელისებ ხოლმე და ამ ამით თუ მიუხვდებოდა სულის კვეთებას, თორემ სხვაფრივ ვერაფერს შეატყობდა.

ერთ დღეს ჩვეულებრისამებრ გატაცებით მუშაობდნენ. მხოლოდ ხანგამოშვებით თუ აღებდნენ თავს მაღლა, ისიც იმიტომ, რომ ერთმანეთისათვის მალვით გადაეხედნათ, თორემ სხვა რამესთვის არც აქეთ იცქირებოდნენ, არც იქით. ისე შეჰჩვეოდნენ საცხოვრ მაგიდის მოწყობილებას, რომ ზეპირად იცოდნენ, სად რა იდო და სად რა. ერთს თმები თითქმის მთლად გაქაღარავებოდა, ერთს კიდევ თეთრი თმაში მხოლოდ შეპარვოდა.

— სიბერე ამეკიდა ზურგზე!—გაისმა უცბად ჩვილის კილოთი წარმოთქმული სიტყვები.

— სიბერე!—განმეორდა სიტყვა ეხოსევებრ.

— ჰო, სიბერე! აბა მიყურე, მგონი დავბერდი.

— არა ჯერ, კიდევ დრო გაქვსთ.

— არა, არა! აღარა მაქვს დრო.

მაგიდის უჯრამ დაიჭრიალა და იქიდან აკანკალებულმა ხელმა სუფთად დაწერილი ქაღალდი ამოიღო.

— ჩემი ანდერძი!.. წაიკითხე!.. ფერი რათ გეცვალა?

— არა! როდის? არ მეცვალა!

უნებლიედ სახეზე ხელი მოისვა... გამოართვა. სიჩუმე ჩამოვარდა.

— წაიკითხე!—აუწყა პატარა ხანს უკან გულდაწყვეტილმა.

— თან წაიღე და შეინახე. შენ ჯერ კიდევ ახალგაზდა ხარ. მე კი მგონი მალე გამოვეთხოვები ამ წუთისოფელსა.

— მადლობა და თან წავიღებ.

სწრაფად გაიღო კარი და სწრაფადვე მიიხურა.

— წავიდა და მარტო დავრჩი!—გაისმა ღალონებულის სიტყვები.

მაგიდასთან იდგა და ოთახს თვალს ავლებდა.

— კარგა ხანია არა ოთახო!?—დაიწყო წყნარად,—კარგა ხანია, კარგა ხანი, რაც ის ჩემთან მუშაობს!.. პირველადვე რომ დავინახე, გული შემიგარდა და მერე რა ვუთხარი? მხოლოდ ცივი „ხვალ მოდი“. დღეს რაღა ვუთხარი? დღეს, როცა ჩვენ თავზე სულსწრაფმა დრომ გადირბინა, სიცოცხლის საზღვარს დამაშორა და სიკვდილისას დამაახლოვა! არაფერი. ანდერძი მივეცი მხოლოდ. ჩემი გული კი იმის გულის განუყრელ ნაწილად არის ქცეული...

დადუმდა, ფიქრს მიეცა. თვალწინ იმისი და თავისი გულგრილად მალქრალი სახეების მთელი რიგი ჩაჰოუმწკრივდა და სინანულით თავი გაიქნია.

V

მესამე დღეს დილით კაცმა დიდი კონვერტი გადასცა.

— თვითონ სად არის ამ ორი დღის განმავლობაში რომ აღარ ჩანს?—იკითხა აღელვებულის კილოთი.—ავად ხომ არ არის?

— მანდ სწერია ყველაფერი.—უპასუხა კაცმა და მოშორდა.

კონვერტი გახსნა. შიგ თავისი ანდერძი ნახა. იქვე წერილი იყო, იქვე კიდევ რაღაც სხვა ქაღალდი. წერილი წაიკითხა—წაიღე უკანვე შენი ანდერძი და მიიღე ჩემგან ჩემი ანდერძი.—ამბობდა წერილი...—მე ახალგაზდა ვარ შენზე, მაგრამ მე შენზე ადრე მივდივარ... ჩემი გული შენს გულს უჩინარის ძაფებით გადაეხლართა, ძაფები სისხლის მილებად იქცნენ და შიგ ჩვენმა სისხლმა იწყო დენა... მე ახალ ერსებად ვიქეცი... შენ ამოიღე უჯრიდან ანდერძი და თვალწინ შენი სიკვდილის აჩრდილი ამეტუზა. ეს ჩემთვის გამზადებული ბასრი დანის დანახვა იყო. შენ გადმომეცი ანდერძი და ბასრმა დანამ გადასჭრა ჩვენი სისხლის საერთო მილები. შენი სახსოვარი, ანდერძით რომ მიტოვებდი ძვირფასია, მაგრამ შენი სიკვდილით უფრო ძვირფასსა ვკარგავდი... აჰ დაახანე, წაიკითხე ჩემი ანდერძიც... ეს მომაკვდავის სურვილია. უნდა შეასრულო.

ანდერძი წაიკითხა, შიგ ასე ეწერა: „როცა სამარეში ჩასვენება დამიპირონ, ჩემს გაციებულს შუბლს შენი თითებით დაგვირგვინებული შუბლი შეახე. ეს იქნება შენი პირველი და უკანასკნელი ალერსი“. წაკითხვა გაგათავა, სიმწარისაგან წელში მოიხარა და მისუსტებული სკამზე გადაესვენა. გრძნობდა სისხლი უჩერდებოდა. თავს ძალა დაატანა.

— ჯერ ანდერძი უნდა შევასრულო!—სთქვა გადაწყვეტით და გამხნევებული წამოდგა.

VI

დასაფლავებას დაესწრო. ცივ შუბლს შუბლით შეეხო. მიცვალებულს მზემ დახედა და სახეზე თავის სხივებით ღიმი გამოხატა. გულმა უთხრა ეს განგებისაგან გამოგზავნილი მიცვალებულის სალამიაო და თვალებიდან ორი მსხვილი ცრემლი გადმოაგდო თავის პირველი და უკანასკნელი ალერსის დასაგვ რეგვინებლად.

ინ—ბანი.

## კახეთში*)

### ალავერდი

(გაგრძელება)

მეორე დღეს რიჟრაჟზე მე და იგივე ახრდილური გაუჭიდებით ალავერდის გზას. გავიარეთ თურდოს ხევი, გავყევით აქედგან გატანილ რუს და მაზე დადგმულ წისქვილების რიგს და ავედით რუსპირში. თვალწინ გადაგვეშალა ალაზნის ველი კავკასიონამდე; მარჯვნივ თელავამდე, მარცხნივ ქისტაურ-ბახტრიონამდე. შვენიერება! გლეხები ყანებს მკიდენ და ჩვენს მისალმებაზე თავაზიანად გვპასუხებდნენ. ყანებს პირი კარგი უჩანდა, სიმინდები, ბოსტნები და ვენახები—კი გვალვას ძალიან შეეწუხებინა. გვალვის ბურუსი და ჯანყი აწვა ალვანის ველს, სადაც უკვე ჩანდა ალავერდი. რუსპირიდან გავიარეთ სოფ. ჯანაანი, რომელიც, ბლბად, დაფუძნებულია ჩემი მოგვარე ჯანასაგან, მერე კოჯოთო, ეს კოლოგების ბუდე, როგორც გვითხრეს, და მალე მივედით ალავერდში. ეს ტაძარი გაშენებულია ალვანის ველზე და ცად-აღმართული მაღლიდან ამაყად დაჰყურებს არე-მარეს, მიდამოს თელავამდე, სადამდისაც სულ 18 ვერსია აქედგან.

მახლობლად მონასტრის მისავლისა მცირე ტყეა, რომელიც წამს ფარავს გუმბრაზ შენობულებას. გაიელი მის წარაფს და თვალწინ წარმოგიდგება დიდებული ძველი თავის ახოვან ციხე-გალავან-ბურჯებით. გადივლი ნაკადულს, რომელსაც თურმე მილხინე ჰქვიან, მიადგები მაგარ კარებს, საძხრეთის მხრიდან. შედიხარ და შენს ყურადღებას იპყრობს მთა—შენობა;

დასავლეთის მხრით აქვს გრძელი ლია სტოა (აწხრ). დაყრდნობილი სვეტებზე. სტოას იატაკი შესავალ კარების იატაკზე ორი საფეხურით მამაღლოა. მარჯვენა საფეხურზე (სტოისა) რაღაც წარწერაა, წაშლალული, უაზრო. შედიხარ ტაძარში და გაკვირვებას ცდილვი, რომ ჰედავ მის სივრცის სიმაღლეს. უზარმაზარ ექვს სვეტს უკავია აგურით აგებული საყდრის ზემო სიმძიმე. 40 საფეხურიან კიბით, რომელიც დატანებულია მარცხენა კედელ-სვეტებს შორის, ადიხარ ზემო სართულში და იქ ტაძრის ფრთებში ჰხედავ კიდევ ორს შოზრდილ საყდარს და მათ შორის სახოროო კამარას. აქ დავმღალობეთ არჩილ მერი, და საკვირველი ხმები მოეფინა მთელს ტაძარს. მარცხენა ფრთის საყდრას გვერდით ზემოთკენ კიდევ მიდის სხვა კიბე თვით გუმბათამდის. ქვემოა სართულის საკურთხევლის აქეთ-იქითაც კიდევ ორი საყდარია, ასე რომ მთელს შენობაში ხუთი საყდარია. საყდრების კანკელები ახალი დროისაა, ძველი გაძხრდა შაჰ აბაზის შემოსევის დროს, როდესაც თვით ტაძარიც საჯინიბოდ იყო გადაქცეული. კანკელში ორი ხატია წმ. გიორგისა. ერთი მათგან თვით ალავერდისაა, მეორე ბოჭორმისა. ორივე მოოქრულია. წმ. გიორგი წარმოდგენილია უცხენო მეომრად. ხელოვნება მეტად თვალსაჩინოა. მათზეა წარწერა.

ალავერდისაზე: „ჩვენ ღვთისა მიერ კურთხეულმან ჩოლაყაშვილმან ამბა ალავერდელმან პატრონმან ნიკოლოზ მრავლით გულმოდგინებით. და ფრიად საფასეთა წარგებითა მოვაჭედინეთ ხატი ესე წმ. გიორგისა ალავერდისა და კვალად ამისა შემდგომად ლორფინითა დავმოჭედთ წინა სამხრო ქვითა და დაბალი სხვანი სამხრონი ურთხლისა ფიცრითა და სოფელი უბლიძე ოფერი ალვაშენე და მეორე გვერგვნი მძიმე ოქროთა თვალითა შევამკვეთ და სახარება მოვჭედე ოქროთა სრულიად და გალავანი დარღვეული განვაახლე მეფობასა დავითისსა ქორონიკონსა უთ (= 1721 წ.). შენდობა ყავთ ჩვენთვის უფალნო“.

ბოჭორმისაზე: „შენ მოწამეთა მხედართა მთავარსა წმ. გიორგის შეგამკობინე ხატი ესე შენი ბოჭორმისა ეკლესიისა საოხად ჩემდა წინაშე შენგან ღვაწლ დადებულისა ღვთისა მეფისა ძემან საქართველოს მემკვიდრემ დავით ქორონიკონსა ფპთ“ (=1801 წ.).

ამ და სხ. ხატების წინ კანდელებია, შეწირულნი ირაკლის მიერ 1789 წელს.

საკურთხეველის წინ ჰმარხიან ამბა იოსებ ალავერდელი, ტაძრის დამაარსებელი მეექვსე საუკუნეში, მისთვის საგალობლების შემადგენელ - დამწერი ბატონიშვილი მაკრინე (+1732 წ. იხ. მის შესახებ ჩვენი წერილი „საფურონში“, რომელიც დაიბეჭდება), დედოფალი ქეთევან (+ 13 ენკ. 1624წ.), ერეკლეს მეუღლე ქეთევანი (+1750 წ.), მეფენი ალექსანდრე, დავითი, ალავერდელები ეფრემი, იოან, ნიკოლოზი, ფილიპე და სხ.

შიგნიდამ და გარედამ ეკლესია თეთრად გადალესილია ისე, რომ ამ ნალესს მთლად დაუფარავს მხატვრობაცა და წარწერებიც. სამწუხარო ის არის, რომ აღმოსავლეთის მხრის (გარედამ) მაღლა ფანჯრებ ზევითი წარწერიდამ ერჩევა მხოლოდ თითო-ოროლა ასომთავრული. აქ ალბად იყო ქორონიკონიც და ცნობა შესახებ ამშენებლისა.

ასე ბარბაროსულად მოჰპყრობია ამ დიდებულ ქმნილებას რომელიღაც ექსარხოსი, მგონი ევგენი 1829 წლებში. თვით ბროსეს მოგზაურობის დროს (1847—8 წლებში) იგი აგრეთვე გადათეთრებული იყო. ამავე ევგენიმ იოსებ ალავერდელის მიერ წმ. გიორგის საოხად აგებული საყდარი აკურთხა პატივით ჯვართ-ამაღლებისა და თვით გიორგის პატივად კი ზემო სართულის ფრთის მარჯვენა საყდარი. ასევე ბარბაროსულად გადათეთრებულია კახეთის თითქმის ყველა ძველი საყდრები, იყალთოსი, შუამთისა და სხ. უმეცრებას დაუღუპავს ძველი ფრესკები და ეკლესიებისთვის მიუცია მათ დიდებულებისთვის შეუფერებელი სატიკინო სახე! ეს ცოტაა კიდევ: მოუწოლევია საფუძვლამდის ალავერდს ეკვსტერები ც. რომელნიც სამხრით და ჩრდილოეთის მხრიდგან მიდგმულნი სიმკვიდრეს აძლევდნენ ცად აღმართულ საყდარს! ასევე ხომ მოჰპყრობიან მცხეთის სვეტიცხოველსაც. რომ არ დაირღვ-დაიშალნენ, საჭიროა ეკვსტრების ხელახლა აგება. აი რა შეგვძინეს უმეცარ ბარბაროსებმა!

ეზოში უწინდელი პალატებია ეპ. კირიონის მიერ განახლებული, იქვე ძველი დროის აბანო, საჯინიბო, მარანი და სხ. პალატების ზემო სართულიდამ მოჩანს დიდებული სურათი ალვან - ცხრაკარიან - ბახტრიონისკენ, იყალთო-აწყურისკენ, არტაან-საარტანო, სამადნო-ანდარაზანისკენ. სახილველობა ყოველ მხრივ საოცარია.

მცირე საყდარი იოსებ ალავერდელისა მარცხრე საუკ—ში კახთ მეფე კვირიკემ ააგო იმ სახით, რა სახეც დღეს აქვს. ამავ კვირიკემ დააფუძნა ქ. თელავიც. 1530 წელს მიწის ძვრამ ჩამოაგდო ალავერდის გუმბათი და იგი განაახლა ლეონ მეფემ, რომელიც იმავე ხანს ჰფლობდა კახეთს.

ალავერდის შესანიშნავი წიგნები დღეს საეკლ. მუზეუმშია, სხვათა შორის დეკანოზების მიერ გადაწერილ-შემკული სახელოვანი სახარება 1053—4 წლებისა.

საყდრის დათვალიერება დავასრულეთ 12 საათზე და ავედით პალატების აივანზე. აქ დაგვხვდა ბერი ზენონი, გამგე მონასტრისა, გამჭრიახი ჭკუის, მხნე, და გამრჯე ახალგაზდა. აქვე გავიცანით გიორგი უშიძე, თუში და თუშეთში დიაკვნად გამწესებული. გიორგი თუმცა გამოსულა შუამთის სამონასტრო სკოლიდამ, მაგრამ იმდენი ცოდნა აქვს, გეგონება სემინარია გაუთავებიაო. იმედს იძლევა, რომ დიდ სარგებლობას მოუტანს თავის მოძმე თუშებს და ეცდება, სრულიად მოაშლევინოს მავნებელი წესი „ბოსლობისა“. იგი თავის მომხედვეულობით დღესვე ღირსია, რომ დაიჭიროს სამღვდელო თანამდებობა თუშეთის რომელიმე სოფელში. ბევრი მეპატიჟა, წაგიყვანო თუშეთში, მეც პატარაობიდგანვე მენატრებოდა ამ ქვეყნის ნახვა, მაგრამ რადგან იქ წამსვლელს ერთნაირი მომზადება უნდა და ჩემი დღევანდელი გეზი-კი იყო მხოლოდ ალავერდამდე, ამიტომ უარი მოვახსენე მოპატიჟეს, მხოლოდ ვთხოვე აეწერა თუშეთი და თუშთა ცხოვრება და გამოეგზავნა ჩვენთვის. ამის მალე ასრულების პირობაც მოგვცა. ჩვენ დავუწერეთ და გადავეცით მოკლე გეგმა მისთვის საეთნოგრაფიო მასალის შეკრების გასაადვილებლად.

საჭიროა ორიოდე სიტყვაც ვსთქვათ თვით ამ დიდებულ შენობის სახელის —ალავერდი—შესახებ. რახან ჩვენი „ალავერდი“ ეხმაურება თათრულს „ალლა-ვერდი“ (=ღმერთმა მოიცა), ამიტომ თვით ამ ტაძრის სახელსაც თარგმნიან თათრულიდამ. ის კი ავიწყდებთ, რომ იოსებ ალავერდელის დროს ჯერ თათრები არ გამოჩენილიყვნენ საქართველოში და არც მაჰმადიანებულ იყვნენ, თვით მაჰმადიც მაშინ ჯერ არ იყო დაბადებული, და აბა ჩვენს ნიადაგზე როგორ შეერთებოდა არაბული „ალლა“ და თათრული „ვერდი“ (ზმნიდამ ვერმაკ—მიცემა, მოცემა). ვახუშტის ახსნით, „ალავერდი“ წარმომდგარა გამოთქმიდამ ალონგვერდი; მართალია, აქვეა ალვანი (ქვემო და ზემო), აგრეთვე ალვანის ველი, მაგრამ მათგან ძნელად წარმოსდგებოდა ალონგვერდი=ალავერდი.

(დასასრული იქნება)

მ. ჯანაშვილი.

*) იხ. „საქართველო“ №

## კორესპონდენცია

### გურიიდან

სწავლა-განათლების შესაძენად გურულები წინადაც არაფერს ზოგავდნენ და ახლა ხომ მთლად „შეშლილი“ არიან. უწინ მთელი გურია ერთი გიმნაზიის დაარსებას ცდილობდა და ვერ ახერხებდა, ახლა კი, თუ მდგომარეობა არ შეიცვალა, ენკენისთვიდან გურიაში იქნება ხუთი გიმნაზია, სამი ოზურგეთში და ორი დ. ლანჩხუთში. ოზურგეთში მღვდლებს გადაუწყვეტიათ ქეთ სასულიერო სასწავლებელი გიმნაზიად გადააკეთონ, ქალთა კერძო პროგიმნაზია უკვე სრულ უფლებიან გიმნაზიად გადაკეთდა და კიდევ არსდება საგანი გიმნაზია. აგრეთვე ლანჩხუთში საზოგადოება ხსნის გიმნაზიას საჯაროს და საქალებო პროგიმნაზიაც გადაკეთდა გიმნაზიად. გაფაციცებით ეძებენ მასწავლებლებს. სოფლებშიაც თითქმის ყველგან აპირებენ (სადაც არ არის) პირველ დაწყებითი უმაღლეს სასწავლებლის გახსნას.

ყველა ეს უნდა გახარებდე, მაგრამ არ შეიძლება არ დაღონდე... კარგია სკოლა, გიმნაზია, კარგია სოფლელები (და ზოგიერთი მასწავლებელიც) რომ ამბობს „კლასიკური“ ცოდნა, მაგრამ ეს უპირეთ შენახვის გიმნაზიელ ქალ-ვაჟუა უსაქმური ლაშქარი. ნუ თუ ყველა გლეხი (გინდ მოქალაქე) შესძლებს შვილს მერე უმაღლესი განათლება მიაღებინოს? თუგინდ შესძლოს, სად მიგყავთ ამდენი ვექილი, ექიმი და სხვები. შესძელით ხალხნო, ნუ გატაცებით მიმბაძველობა, დაფიქრდით და მაშინ ამჯობინებთ დააარსოთ სამეურნეო, სატექნიკო, სახელოსნო და პროფესიონალური სკოლები. ხალხის მეთაურებო, უჩვენეთ ხალხს რეალ გზაზე იაროს. თუ გინდ ყველა სკოლა სახალხო ხაზინამ იკისროს, ხალხი შვილების ბინის ქირასა და ტანისამოსს ვერ აუვა. დაფიქრდით!

—

მიმბაძველობა გურიაში უმაღლეს წერტილზე ავიდა: კვირაში ორჯერ თუ არა, ერთხელ მაინც, ბევრ სოფლებში იმართება წარმოდგენები, ვახშმით, ლოტარიით, სამხედრო მუსიკით, ფოსტით, ყვავილებით, ინგლისური შეჯიბრებით. ყრუ სოფლებში ბავშვები რყვნიან ხელოვნებას—თამაშობენ დრამებს, ტრაგედიებს, უსუსური ბავშვები კითხულობენ ლექციებს მარქსზე და სხვა ფილოსოფიურ საკითხებზე. ყველა სოფლის გზა ჯვარედინზე ხ ნიან ბიბლიოთეკებს (შიგ არის ორი გაზეთი, ზოგჯერ იგიც გაუხსნელი), აპირებენ ააგონ სახალხო სახლი. ყველაფერი კარგია, მაგრამ მშიერი რომ კარს გვადგას, არავინ არ ფიქრობს დაზოგვას, მომჭირნეობას, მოდის არ აყოლას, მუშაობის დაწყებას, მეურნეობის აღორძინებას. თუ შეიძლება ასე ითქვას, გურიაში დღეს კულტურული ორგია.

აპ. წ—ძე.

### ახალციხიდან

11 აგვისტოს, ადგილობრივი რაიონის ქართული საქველმოქმედო საზოგადოების ახალი გამგეობის წევრთა პირველი კრება მოხდა თავმჯდომარეთა მოსამსახურეების თანამდებობათა გასაცნობად, თუ ვის რა საქმე აქვს მინდობილი გასაკეთებლად და რამდენად აქვთ მათ კანონიერად დაკისრებული ეს საქმეები; გაცნობის შემდეგ მოუმატეს ჯამაგირები ახალციხის თავმჯდომარის მოსამსახურეებს, რადგან მათ თხოვნა ჰქონდათ მიცემული ნივთიერად თავიანთი ცხოვრების გასაუმჯობესებლად თანდათანობით სიძვირისა გამო მიხედვით და კიდევაც მოუმატეს 40—50 პროც.-მდე. ხოლო უდეს თავმჯდომარეთა მოსამსახურეებს ჯერ არ წარუდგენიათ თავიანთი მოთხოვნილებანი, რომელნიც აგრეთვე თხოულობენ ჯამაგირის მომატებას. ახალმა გამგეობამ 9 აგვისტოდან დაიწყო მოქმედება.

23 აგვისტოს, ადგ. ეროვნ.-დემოკრ. პარტიის კომიტეტი მართავს კრებას, სადაც ყველა ქართველს იწვევს საერთო წმინდობის მოუხდავად. კრებაზე იქნება თათბირი საქალაქო არჩევნების შესახებ. საარჩევნო კომიტეტს ჯერ კიდევ არ გამოუკრავს საარჩევნო სია, იმის გამო, რომ ამწერლებს დაუტყვევებიათ და არ აძლევენ აღწერილ სიას ქალაქის კომიტეტს, სანამდე არ დააკმაყოფილებენ მათ იმ ჰონორარით, რაც შეჰპირდნენ გასამრჯელოს. ქალაქს კი საამისო ფული ჯერეთ არა ჰქონია.

ადგილობრივ გიმნაზიაში კვლავ კიდევ აჩნა თავი არეულობამ და საქმის აწეწ-დაწეწამ. ამის მიზეზი ის იყო, რომ გიმნაზიის დირექტორი სერგო დანელია, რომელიც დასასვენებლად ქობულეთში იყო წასული ორიოდე კვირით, ამით ისარგებლეს ადგილობრივმა სომეხმა მამებმა, რომელნიც ქართველთა წინააღმდეგ მიქმედებდნენ, რომ გიმნაზიიდან გაედევნათ ქართველი მასწავლებლები, როგორც ამის შესახებ უკვე კიდეც გამოიტანეს ასეთი დადგენილება მაისის ბოლოს, მშობელთა წრის თავმჯდომარის ორლოვსკის მოთაობით გამართულ კრებაზე და ამ დადგენილების წინააღმდეგ ხომ ქართველებმაც გამოჯავრებულმა თავიანთი დადგენილება გამოიტანეს და აირია მონასტერი, აი, ის პროცესი კიდევ განმეორდა ახლაც. გაიმართა კრება, სადაც დირექტორი დანელიას წინააღმდეგ, აირჩია ქალაქის წარმომადგენლებს 5 კაცი, აირჩა აგრეთვე მშობლებთაგან დელეგატები და აირჩიეს პედაგოგიური საბჭო და 5 კაცი, ხოლო კომისარიატში სამი კაცი—დეკანოზი ხახუტაშვილი, პეტრე იგანესიანცი და გრიგოლ საიკიანცი, უკანასკნელი თავმჯდომარედ პედაგოგიურ კომისიისა. ამათ თავიანთ კრებაზე 4—5 ქართველი მასწავლებლები დაითხოვეს და დაიწყეს გიმნაზიის საქმის წარმოება ახალმა პედაგოგიურმა კომისიამ. მარა ამ დროს გაჩნდა დირექტორი დანელია და რა გაიგო ყველა ეს, მაგრე არ უნდოდა, გიმნაზიის მოსამსახურეებს მოსთხოვა კანცელარიის გასაღები, დაკეტა კარები და არავინ შეუშვა გიმნაზიაში. იმ დღესვე გამართა კრება პედაგოგიური საბჭოსი. კრებაზე არ გამოცხადდნენ ქართველების მოძულე პედაგოგები. კრებას 7 დაესწრო, რადგან ბევრნი სხვაც ქალაქში არ იმყოფებოდნენ. კრებაზე აიხსნა ყველაფერი, რაც მომხდარიყო დანელიას წასვლის შემდეგ. ხმის ჩამოტარებით ყველამ გამოსთქვა, რომ ის არჩევნები არ იყო კანონიერი ხოლო კანონიერად იცნა დეკანოზმა ხახუტაშვილმა და რომ დაეძლია თავმჯდომარე რა საფუძველით სცნობდა მას კანონიერად იგი, მაშინ, გამოჯავრებული დეკანოზი წამოხტა ფეხზე, დაატოვა კრება და გავიდა კარში. ეს ამბავი მოხდა 22 აგვისტოს. დირექტორი დანელია ედავება გიმნაზიის ბეჭედს ახალ კომისარიატს, რომელსაც ხელში ჩაუგდია, ხოლო ახალი კომისარიატი დირექტორ დანელიას ედავება გიმნაზიის კანცელარიის გასაღებს. არ ვიცით შემდეგში რა მოხდება. საქმე კი ისაა ყველაზედ მოსული, რომ დღეს ხვალ უნდა გაიხსნას გიმნაზია და საქმეს კი არევ-დარევა ელოდება.

რ.

რედაქტორი გრიგოლ ვეშაპელი.

## კალენდარი

### კვირა, მარიამობისთვის 27

კვირა 14. ხვა 5.

ქართვ. დღეს. მამისა ჩვენისა პიმენისი.

კათოლ. წმ. ცეზარისა და იულიასი.

მაჰმად. ექ-შამბე 22 რ. ზულყადისა 1335 წ. ჰიჯრისა.

ებრაელ. ივრიშონ 52 რ. ელულ 5677 წ. ქვ. შექ.


ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

კომერციულ ცოდნათა

კურსები

ტ. მ. ფილოიანისა

ორივე სქესისთვის

(ტფილისი, მიხეილის პროსპ. № 24, ტელ. № 976).

თხოვნები მიიღება: 4—5 საათ. საღამოთი. მეცადინეობა დაიწყება 15 სექტემბერს. პროგრამები და წესდებანი მსურველთ გაეგზავნებათ, ან მიეცემათ უსასყიდლოთ კურსების კანცელარიაში.

თ—734—9

საავადმყოფო

სამხედრო ექიმ სპეციალისტებისა მოსიარულე ავადმყოფებისთვის:

დიდი ვანქის ქუჩა № 3. ალექსანდრეს ბაღის ახლო, ტელეფონი 431.

ავადმყოფების მიღება: დილის 10 საათიდან 5 საათამდე.

ბელაშვე—ბავშვთა შინაგან ავადმყოფობისა. ღებულობს 10—12 ს. ყოველდღე.

გეინაცი—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.

ანპიხოვი—ყურის, ყელის და ცხვირ. 1—2 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.

ფირალოვი—ქირურგ. ავად. 12—1 საათამდე.

მონხე—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 საათამდე ყოველ დღე.

ჩუდნოვსკი—შინაგან და ნერვიულ ავად. 12—1 საათ. ხუთშაბ. და კვირაობით.

ბეგზადოვი—ქალთა და საშვებიო ყოველ-დღე 2—3 საათამდე.

იოხელიანი—ქალთა და საშვებიო ავად. ღებულობს ორშ., ოთხშ. და პარ. 11—12 ს.

ნარიმანოვი—ვენერიული ავად. ყოველ-დღე 10—11 საათამდე.

დეკანოზოვი—ქალთა ავად. სამშაფათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.

ტროიცკაია—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.

ბაგდოევისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 3—5 საათამდე.

ალიხანოვისა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 10—12 საათამდე.

100—667—42

თეთრის მრეწველნი

ძმ. მესხელიშვილები

[illegible]




გამომცემელი „ამხანაგობა“ საქართველო